



ბანათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის
დასკვნა

უმალესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

„საინჟინრო გეოდეზია“

მაგისტრატურა

სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი - 31 მაისი, 01 ივნისი 2021 წელი.

დასკვნის წარდგენის თარიღი - 22 ივნისი 2021 წელი.

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ¹

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიითითებით	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი საჯარო სამართლის იურიდიული პირი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	211349192
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საინჟინრო გეოდეზია Engineering Geodesy
უმაღლესი განათლების საფეხური	მეორე (მაგისტრატურა)
მისანიჭებელი კვალიფიკაცია ²	საინჟინრო გეოდეზიის და გეოინფორმატიკის მაგისტრი Master of Geodesy and Geoinformatics Engineering
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	ინჟინერია და საინჟინრო საქმე - არაკლასიფიცირებული (კოდი: 0719) Engineering and engineering trades not elsewhere classified
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მიითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	—
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	120
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მიითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს N485, 2012 წლის 28 სექტემბრის გადაწყვეტილება.

¹ ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მიითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის დაწესებულებ(ებ)ისათვის

² უცხო ქვეყნის დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თამარ გვიანიშვილი, ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	გიორგი ბრეგვაძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	არჩილ მაღალაშვილი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მამუკა ბენაშვილი, საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნანა ფირცხელანი, კავკასიის უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამელი დასკვნა

▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა „საინჟინრო გეოდეზია“ (შემდგომში - პროგრამა) 2012 წლიდან ხორციელდება საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, სამთო-გეოლოგიურ ფაკულტეტზე, საინჟინრო გეოდეზიისა და გეოინფორმატიკის დეპარტამენტის ბაზაზე. აკრედიტაციის საბჭოს 2012 წლის 28 სექტემბრის №485 გადაწყვეტილებით პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია. მომდევნო პერიოდში პროგრამაში განხორციელდა რამდენიმე ტექნიკური და შინაარსობრივი ცვლილება, მათ შორის დაიხვეწა პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები, სტრუქტურა, დაკონკრეტდა დასაქმების სფერო. მოდიფიცირების პროცესში შესწავლილ იქნა დარგის სპეციალისტების, სტუდენტების, კურსდამთავრებულების და დამსაქმებლების მოსაზრებები. ასევე, შევიდა ცვლილებები პროგრამის კომპონენტების სილაბუსებში (საათების განაწილების სქემაში, სტუდენტთა ცოდნის შეფასების ნაწილში და ა.შ.). განხორციელდა ცვლილებები საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით.

პროგრამის მოდიფიცირების პროცესი მიმდინარეობდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებულ საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასების და განვითარების მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით (<https://gtu.ge/quality/Regulation-Documents/Technical-University.php>). მოდიფიცირების პროცესის დასრულების შემდგომ, პროგრამა დამტკიცდა უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ (დადგენილება №01-05-04/169, 12.10.2020).

პროგრამის ძირითადი მახასიათებლებია:

- პროგრამის მოცულობა: 120 ECTS-ის კრედიტი (ერთი კრედიტი = 25 სთ, მოიცავს საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს);
- სწავლების ხანგრძლივობა: 2 აკადემიური წელი (4 სემესტრი);
- პროგრამის კომპონენტები: სასწავლო კომპონენტი (სწავლის ძირითადი სფეროს სავალდებულო (60 კრედიტი) და არჩევით (30 კრედიტი) სასწავლო კურსები); სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი (სამაგისტრო ნაშრომი, სავალდებულო, 30 კრედიტი).

▪ **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „საინჟინრო გეოდეზია“ (შემდგომში - პროგრამა) სააკრედიტაციო შეფასება განხორციელდა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ბრძანების (MES 9 21 0000468319, 20.05.2021) საფუძველზე, მიმდინარე წლის 31 მაისს და 01 ივნისს დისტანციურ რეჟიმში Zoom-ის პლატფორმის გამოყენებით (01 ივნისს პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება მოხდა კომბინირებული ფორმით - ადგილზე ვიზიტით და ვიდეო კომუნიკაციის საშუალებების გამოყენებით).

ვიზიტის დაწყებამდე ექსპერტებს მიეწოდათ პროგრამის თვითშეფასების ანგარიში და მისი დანართები, დაზუსტდა ვიზიტის დღის წესრიგთან დაკავშირებული საკითხები, ასევე, დისტანციურ რეჟიმში Zoom-ის პლატფორმის გამოყენებით ჩატარდა ჯგუფის სამუშაო შეხვედრები: ჯგუფის თავმჯდომარემ გადაანაწილა წევრებზე კონკრეტული დავალებები უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტების შესაბამისად; ვიზიტამდე ჯგუფის წევრებმა დამატებით განიხილეს ინფორმაცია, ერთმანეთს გაუზიარეს მოსაზრებები აკრედიტაციის სტანდარტებთან პროგრამის შესაბამისობის შესახებ, შეაჯერეს კითხვები და საკითხები, რომლებიც საჭიროებდნენ დაზუსტებას ან/და დამატებით განმარტებას.

აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება განხორციელდა წინასწარ შეთანხმებული ვიზიტის განრიგის (დღის წესრიგის) მიხედვით, ექსპერტთა ჯგუფის სრული შემადგენლობით. ექსპერტებმა შეისწავლეს უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები (თვითშეფასების ანგარიში და თანდართული დოკუმენტები, ასევე ვიზიტის განმავლობაში ექსპერტების მოთხოვნის საფუძველზე წარმოდგენილი დამატებითი ინფორმაცია/დოკუმენტები), გაესაუბრნენ უნივერსიტეტის წარმომადგენლებს და ვიზიტის დღის წესრიგით გათვალისწინებულ სხვა პირებს. ვიზიტი წარიმართა საქმიან გარემოში. უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ უზრუნველყო ყველა პირობა იმისათვის, რომ ექსპერტთა ჯგუფს მიეღო სრული ინფორმაცია აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დასადგენად. ვიზიტის ბოლოს ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ უნივერსიტეტის წარმომადგენლებს გააცნო ვიზიტის შედეგად მიღებული წინასწარი მიგნებები.

▪ **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

- სტანდარტი 1 - საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. სტანდარტის ყველა კომპონენტი (1.1 და 1.2) შეფასდა როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
- სტანდარტი 2 - სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. სტანდარტის 2.1, 2.2, 2.3, 2.4 და 2.5 კომპონენტები შეფასდა როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, ხოლო სტანდარტის 2.6 კომპონენტი შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
- სტანდარტი 3 - სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. ამ სტანდარტის ყველა კომპონენტი (3.1. და 3.2.) შეფასდა როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

- სტანდარტი 4 - სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. ამ სტანდარტის 4.1, 4.2 და 4.4 კომპონენტები შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, ხოლო სტანდარტის 4.3 კომპონენტი შეფასდა როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.
- სტანდარტი 5 - სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. ამ სტანდარტის 5.1 და 5.3 კომპონენტები შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, ხოლო 5.2. კომპონენტი შეფასდა როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.
- **რეკომენდაციები**
 1. პროგრამის შესაბამისი სასწავლო კურსების შეფასების სისტემაში პრაქტიკული კომპონენტების (პრაქტიკული/ლაბორატორიული სამუშაოების) შეფასებებში მინიმალური ზღვარის განსაზღვრა.
 2. უნივერსიტეტმა უნდა უზრუნველყოს ახალგაზრდა კადრების მოზიდვისა და შემდგომი დაწინაურების პოლიტიკის შემუშავება და დანერგვა.
 3. უნივერსიტეტმა უნდა უზრუნველყოს სამეცნიერო პროექტებში აკადემიური/მოწვეული პერსონალის ჩართულობა.
 4. მომდევნო წლების ბიუჯეტში დეტალურად უნდა იყოს გაწერილი აკადემიური/მოწვეული პერსონალის და პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური რესურსის განვითარებისათვის ხარჯები.
 5. კანონმდებლობასთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია ცვლილებების შეტანა უნივერსიტეტში მოქმედ (საერთო სამაგისტრო გამოცდების გარეშე პროგრამაზე ჩარიცხვასთან დაკავშირებულ) დოკუმენტში, კერძოდ - მაგისტრატურის დებულებაში.
 6. პროგრამის ხარისხის შეფასებისა და განვითარების პროცესი უნდა მიმდინარეობდეს დაწესებულების რეგულაციებით გათვალისწინებული მიდგომებისა და მექანიზმების სრული გამოყენებით, განსაკუთრებით პროგრამის მდგრადობისა და ეფექტიანობის სისტემატური და კომპლექსური შეფასება-ანალიზის მიმართულებით.
 7. ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით პერიოდულად უნდა მოხდეს პროგრამის ყველა ასპექტის (მათ შორის, პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური რესურსის უსაფრთხოოდ გამოყენების) კომპლექსური, მრავალმხრივი შეფასება, პროგრამის მდგრადობისა და ეფექტიანობის დადგენა, წლების მიხედვით პროგრამის შესწავლა-ანალიზი დაწესებულებაში არსებული მიდგომისა და მექანიზმების (მაგ., SWOT-ანალიზი, PDCA-პრინციპი და სხვ.) სრული გამოყენებით, რომლებსაც თავად დაწესებულება ხარისხის უზრუნველყოფის და კონტროლის ეფექტიან მექანიზმად მიიჩნევს. ასევე, გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით განხორციელებული შეფასების შედეგების ერთიან დოკუმენტში ასახვა და დაინტერესებული მხარეებისთვის გაცნობა.
 8. პერიოდულად უნდა მოხდეს პროგრამის დადარება უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან, ინფორმაციის ანალიზი, საჭიროების შემთხვევაში პროგ-

რამაში ცვლილებების დაგეგმვა და განხორციელება თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით.

▪ **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

1. სასურველია პროგრამის სასწავლო გეგმაში უფრო ნათლად გამოიკვეთოს არჩევითი და სავალდებულო სასწავლო კურსები.
2. სასურველია დამატებითი ლიტერატურას დაემატოს თანამედროვე უცხოენოვანი ლიტერატურა.
3. სასურველია გაიზარდოს პროგრამის ინტერნაციონალიზაცია (გაცვლითი პროგრამები, უცხოელი სპეციალისტების ჩართულობა).
4. საჭიროა სამაგისტრო ნაშრომების შინაარსის მეტი კონტროლი.
5. სასურველია მაგისტრანტთა მოტივაციის ამაღლების ხელშეწყობა საერთაშორისო ონლაინ-პროგრამებს, გაცვლით კურსებში თუ საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის მიმართულებით.
6. სასურველია სამომავლოდ პრაქტიკული კომპონენტის კიდევ უფრო მეტად გაძლიერების ხელშეწყობა, რათა მაგისტრანტებს გაუჩნდეთ სტაჟირებისა და დასაქმების პროგრამებში მონაწილეობის კიდევ უფრო მეტი შესაძლებლობა.
7. სასურველია შემუშავდეს მექანიზმები, რათა პროგრამის მაგისტრანტებისათვის აქტუალური გახდეს შესაფასებლად წარდგენილი თითოეული სასწავლო კურსისა და ლექტორის სასწავლო საქმიანობის შეფასების კითხვარის შევსება.
8. სასურველია უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ადმინისტრაციის მხარდაჭერით მატერიალური რესურსების მუდმივად განვითარება და სრულყოფა, ლაბორატორიების ინფრასტრუქტურის განახლება.
9. მიზანშეწონილია სისტემატურად (განსაზღვრული პერიოდულობით) განხორციელდეს პროგრამის გარე შეფასება დარგობრივი ორგანიზაციების/დამოუკიდებელი დარგის სპეციალისტების/უცხოეთის უსდ-ების მიერ.

▪ **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

1. მჭიდრო და პროდუქტიული თანამშრომლობის მექანიზმისა არსებობა პროგრამის აკადემიურ პერსონალსა და მაგისტრანტებს შორის.

▪ **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

-

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა
პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი
სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „საინჟინრო გეოდეზია“ (შემდგომში - პროგრამა) მიზნებია: <ul style="list-style-type: none">▪ მისცეს საინჟინრო გეოდეზიისა და გეოინფორმატიკის სფეროში ღრმა და სისტემური ცოდნა საკვლევო ობიექტების გეოდეზიური და გეოინფორმაციული უზრუნველყოფის შესახებ;▪ შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად განუვითაროს ქსელების დაპროექტების, სიზუსტის შეფასების, განაზომთა დამუშავების, კადასტრული აღრიცხვის და დეფორმაციული პროცესების კვლევის დამოუკიდებლად განხორციელების უნარი;▪ გამოუმუშაოს გეოდეზიისა და მარკშეიდერიის დარგში არსებული სირთულეების დაძლევის ორიგინალური გზების ძიების უნარი უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით. გეოდეზიური, მარკშეიდერული, გეოინფორმატიკული და საკადასტრო პროფილის ორგანიზაციებში, სხვადასხვა პოზიციაზე საქმიანობით, კურსდამთავრებული საკუთარ წვლილს შეიტანს დარგის განვითარებაში და ხელს შეუწყობს სამუშაოების უკეთ წარმართვას და გაზრდის შესრულებული სამუშაოების ხარისხს.
პროგრამის მიზანი შეესაბამება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) მისიას „შექმნას ისეთი აკადემიური გარემო, რომელიც ინდივიდს შესაძლებლობას მისცემს ჩამოყალიბდეს მაღალკვალიფიციურ კადრად, აღიზარდოს დამოუკიდებელ პიროვნებად, თავისუფალი და დემოკრატიული სამყაროს სრულფასოვან წევრად; მაქსიმალურად შეუწყოს ხელი უნივერსიტეტის თითოეული წევრის საზოგადოებრივ და აკადემიურ თვითგანვითარებასა და თვითრეალიზებას, რაც თანამედროვე თავისუფალი, დემოკრატიული საზოგადოების არსებობის აუცილებელი პირობაა“. ამ მისიის შესაბამისად, უნივერსიტეტი მიზნად ისახავს უზრუნველყოს: აკადემიური უმაღლესი განათლების განხორციელება თავისუფალი ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით და იმავდროულად შეინარჩუნოს სამეცნიერო და აკადემიური ცოდნის მნიშვნელობა და ღირებულება; მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლისა და კვალიფიკაციის ამაღლების მოქნილი სისტემის დანერგვა და განვითარება; უნივერსიტეტის პერსონალის აკადემიური თავისუფლება (რაც მოიცავს აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის, სტუდენტის სწავლის, სწავლებისა და კვლევის თავისუფლებას, მობილობის შესაძლებლობებს).
პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული და ნათლად არის ჩამოყალიბებული. ისინი შეესაბამება დასაქმების ბაზრის მოთხოვნებს და მიღწევადია. პროგრამის შეთავაზების მიზეზია გეოდეზიის დარგის თანამედროვე გამოწვევები, საქართველოს შრომის ბაზრის მოთხოვნები კვალიფიციურ კადრებზე.

პროგრამის განმახორციელებელი ფაკულტეტის ვებგვერდზე განთავსებული პროგრამა საჯარო და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- პროგრამა „საინჟინრო გეოდეზია“;
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანება ”საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“;
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მისია, მიზნები და სტრატეგია;
- სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის სამოქმედო გეგმა;
- სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის დებულება;
- სტუ-ს ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია;
- დამსაქმებელთა სარეკომენდაციო წერილები;
- დამსაქმებლისა და შრომის ბაზრის კვლევა, საქართველოს შრომის ბაზრის ანალიზი 2019;
- ფაკულტეტის ვებგვერდი;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

-

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში):

-

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამით განსაზღვრული აკადემიური ხარისხისა და კვალიფიკაციის მინიჭებისთვის მაგისტრანტებმა უნდა შეასრულოს პროგრამის მოთხოვნები და დააგროვოს არანაკლებ 120 კრედიტი, რაც უზრუნველყოფს პროგრამის მიზნებისა და მისანიჭებელი კვალიფიკაციისთვის საჭირო შედეგების მიღწევას. პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაშია პროგრამის მიზანთან. კვალიფიკაციის მინიჭებისთვის მისაღწევი სწავლის შედეგები შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მაგისტრატურის საფეხურისთვის დადგენილ დონეს და აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებიც ექნება პროგრამის კურსდამთავრებულს პროგრამის დასრულებისას. პროგრამის შედეგები გაზომ-

ვადი, მიღწევადი და რეალისტურია. პროგრამაში შედეგები წარმოდგენილია შემდეგი სახით:

- განიხილავს გეოდეზიურ განაზომთა მათემატიკური დამუშავებისა და გრავიტაციული ველის მაღალი სიზუსტით გაზომვის მეთოდებს, საინჟინრო გეოდეზიაში და მარკშიდერიაში საყრდენ, სასიმალო და გეგმურ ქსელებს, მიწისქვეშა ორიენტირების სამუშაოებს, გეოინფორმაციულ სისტემებში ვექტორული და რასტრული გამოსახულებებისა და ზედაპირების პროგრამულ დამუშავებას;
- განმარტავს ობიექტის გეომეტრიული პარამეტრების დაკვალვის მეთოდებს, მიწის რესურსების მართვის და მიწათმოწყობის პროექტის ეკოლოგიურ, ეკონომიკურ და სამართლებრივ ასპექტებს, საადგილმამულო ურთიერთობათა დარეგულირების ხერხებს, მეთოდებსა და პრინციპებს;
- საინჟინრო გეოდეზიური უზრუნველყოფის პროცესში იყენებს დამუშავების შესაბამის მეთოდებს, საადგილმამულო ურთიერთობის საკანონმდებლო ბაზას, მიწის კადასტრის, კონტროლისა და მიწების მონიტორინგის ორგანიზაციის მეთოდებს, გეოინფორმაციულ სისტემას;
- ასაბუთებს გეოდეზიური საყრდენი ქსელების სიზუსტეს, შახტის მშენებლობისა და ექსპლუატაციისას მარკშიდერული მომსახურების სამუშაოებს, გეოდეზიური განაზომების დამუშავების სიზუსტეებს, მიწის ფონდის დაცვასა და რაციონალურად გამოყენებას.
- დამოუკიდებლად წყვეტს საინჟინრო გეოდეზიურ ამოცანებს, საყრდენი გეოდეზიური ქსელების დაპროექტებისას წამოჭრილ პრობლემებს, შახტის მშენებლობის და
- ექსპლუატაციის პროცესებში დასმულ მარკშიდერულ ამოცანებს კლასიკური მეთოდებისა და თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით, სივრცული მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებულ ამოცანებს;
- საინჟინრო ობიექტის სახეების გათვალისწინებით არჩევს გეოდეზიურ საყრდენ ქსელებს, მათი დაკვალვისა და გეოდეზიური განაზომების დამუშავების თანამედროვე მეთოდებს;
- ამზადებს წინადადებებს სათანადო მეთოდებით ქსელების გეოდეზიური განაზომების დამუშავების გზების, მიწის რესურსების კომპლექსური მართვის შემუშავების შესახებ;
- მონაწილეობს მიწის რესურსების მართვასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებაში; მიწათმოწყობის, მიწის კადასტრის, მიწების მონიტორინგში, საკადასტრო სამუშაოების დაგეგმვა-ორგანიზაციაში;
- განსაზღვრავს მიწის სივრცითი ინფორმაციული სისტემის კომპონენტებს, კარიერებზე ჩატარებული სამუშაოების შედეგებს;
- იზიარებს გეოდეზიის დარგში სახელმწიფოს მიერ დამტკიცებულ ნორმებს, აყალიბებს საკუთარ აზრსა და საქმიან წინადადებებს როგორც ზეპირი, ასევე წერილობითი სახით.

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება ხდება თანმიმდევრულად და გამჭვირვალედ, ითვალისწინებს დარგის სპეციფიკას, მოიცავს შეფასების ადეკვატურ ფორმებსა და მეთოდებს. საშუალებას იძლევა დადგინდეს, თუ რამდენად მიაღწიეს კურსდამთავრებულებმა პროგრამით დადგენილ სწავლის შედეგებს. გამოიყენება პროგრამის სწავლის შედეგების პირდაპირი და პირდაპირი შეფასების მექანიზმები, რომლებიც ეყრდნობა თითოეული სწავლის შედეგის დაგეგმვის, შეფასების, ანალიზის, პერიოდული მონიტორინგის და განვითარების მეთოდებსა და მიდგომებს. სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი მოიცავს, მათ შორის:

- პროგრამის სწავლის შედეგების და პროგრამის თითოეული სავალდებულო კომპონენტის სწავლის შედეგების შესაბამისობის მატრიცას (ცხრილს). რაც ცალსახად განსაზღვრავს, რომ პროგრამის თითოეული სწავლის შედეგი არის გაზომვადი და ნათელყოფს თითოეული სწავლის შედეგის მიღწევის რეალისტურ გზებს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმას - რომელიც ასახავს რომ პროგრამის სწავ-

<p>ლის შედეგების შეფასება ხდება თანმიმდევრულად, გამჭვირვალედ, დარგის სპეციფიკის-თვის დამახასიათებელი პერიოდულობით.</p> <p>პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება შედგება ოთხი ეტაპისაგან: 1. პროგრამის სწავლის შედეგების ჩამოყალიბება; 2. კურიკულუმის ანალიზი, რათა დავრწმუნდეთ, რომ მაგისტრანტებს აქვთ შესაძლებლობა მიაღწიონ აღნიშნულ სწავლის შედეგებს; 3. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება; 4. შეფასების შედეგების გამოყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.</p> <p>პროგრამის კომპონენტების სილაბუსში გაწერილია თითოეული სწავლის შედეგის შეფასებისათვის შესაბამისი შეფასების ფორმები, მეთოდები და კრიტერიუმები. პროგრამის სწავლის შედეგების ოპტიმიზაციის მიზნით, გარკვეული პერიოდულობით ხორციელდება პროგრამის კომპონენტების სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი და სამიზნე ნიშნულებთან დადარება. აღნიშნულ პროცესში ჩართულია ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელი, რექტორის ბრძანებით შექმნილი ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების კომისია, შესაბამისი დეპარტამენტების აკადემიური პერსონალი. სწავლის შედეგების შეფასების ანალიზის საფუძველზე ხდება პროგრამაში განსახორციელებელი ცვლილებების განსაზღვრა და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ფაკულტეტის საბჭოს წინაშე აღნიშნული საკითხის წარდგენა. ფაკულტეტის საბჭო იღებს გადაწყვეტილებას პროგრამაში განსახორციელებელი ცვლილებების შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, პროგრამის მოდიფიცირების საკითხი ეგზავნება უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად.</p> <p>პროგრამის არაპირდაპირი შეფასების უზრუნველყოფის მიზნით ფაკულტეტზე შემუშავებული მექანიზმი უზრუნველყოფს პროგრამის შეფასებას დაინტერესებული მხარეების მიერ (პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი, მაგისტრანტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები) და მათ ჩართულობას პროგრამის შემუშავება/განვითარების პროცესში.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები:</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პროგრამა „საინჟინრო გეოდეზია“; სასწავლო კურსის პროგრამები (სილაბუსები); ○ კურსდამთავრებულთა კვლევის ანალიზი; ○ სწავლის შედეგების შეფასების გეგმა; ○ სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი; ○ ფაკულტეტისა და დეპარტამენტის ოქმები; ○ დამსაქმებლისა და შრომის ბაზრის კვლევა; ○ კურსდამთავრებულთა კვლევის ანალიზი; ○ სტუ-ს სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის ელექტრონული სისტემა; ○ ფაკულტეტის ვებგვერდი; ○ ინტერვიუს შედეგები.
<p>რეკომენდაციები:</p> <p>-</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:</p> <p>-</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <p>-</p>
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში):</p> <p>-</p>
<p>შეფასება</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p>

- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	<input checked="" type="checkbox"/>			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

მაგისტრატურაში სწავლის უფლება აქვს არანაკლებ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელიც ჩაირიცხება სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე (საერთო სამაგისტრო გამოცდა და სტუ-ს მიერ განსაზღვრული გამოცდა/გამოცდები, მათ შორის - სავალდებულოა გამოცდა სპეციაობაში). გამოცდების დაწყებამდე მინიმუმ ერთი თვით ადრე, გამოცდების საკითხები/ტესტები განთავსდება უნივერსიტეტის სწავლების დეპარტამენტის ვებ-გვერდზე: https://gtu.ge/Study-Dep/News/?ELEMENT_ID=15211

პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ უცხოური ენის (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული) არანაკლებ B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი შესაბამისი სერტიფიკატი ან უნდა ჩააბარონ გამოცდა უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრში.

პროგრამაზე ჩარიცხვა სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე, შესაძლებელია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ დადგენილი წესით.

პროგრამაზე ჩარიცხვა (სწავლის გაგრძელება), ასევე, შესაძლებელია, მობილობის წესით სხვა უსდ-ების სტუდენტებისთვის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 2 თებერვლის ბრძანება №10/ნ-ით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის“ შესაბამისად და შიდა მობილობის წესით. შიდა მობილობის ვადები და პროცედურები დგინდება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით. ინფორმაცია თავსდება უნივერსიტეტის ვებ-

გვერდზე, პროგრამა კი საჯარო და ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, როგორც სიახლეების ველში, ასევე სწავლების დეპარტამენტის ვებგვერდზე <https://gtu.ge/Study-Dep/>. სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის ვებგვერდზე მითითებულია საკონტაქტო ინფორმაცია - ნებისმიერ მსურველს შეუძლია მიიღოს ინფორმაცია და ნებისმიერი საკითხის კონსულტაცია, როგორც სატელეფონო, ასევე ელექტრონული ფოსტის საშუალებით.

პროგრამაზე მიღების წინაპირობები გამჭვირვალეა და უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნის და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას, რაც ემსახურება მაგისტრანტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის შინაარსთან, სწავლის შედეგებთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- პროგრამა „საინჟინრო გეოდეზია“; სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები);
- ფაკულტეტის ვებგვერდი;
- გამოკითხვის შედეგები;
- მაგისტრატურის დებულება.

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

-

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში):

-

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამა შემუშავებულია დარგში არსებულ თეორიულ და პრაქტიკულ გამოცდილებაზე დაყრდნობით, ასევე შემუშავების პროცესში უცხოეთის უსდ-ების გამოცდილების შესწავლით, ანალიზითა და შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით. პროგრამა კურსდამთავრებულებს მისცემს სწავლის გაგრძელებისა და მიღებული კვალიფიკაციით მუშაობისთვის საჭირო კომპეტენციებს, რაც მომავალში წარმატებული კარიერის შექმნაში დაეხმარებათ. ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული გასაუბრებების დროს აკადემიურმა პერსონალმა და

დამსაქმებებმა ისაუბრეს პროგრამის შინაარსის თავისებურებებზე, შესწავლილ და გათვალისწინებულ ასპექტებზე და ა.შ.

პროგრამის ხანგრძლივობაა 2 წელი. პროგრამა შედგენილია ECTS სისტემით, პროგრამის მოცულობა შეადგენს 120 კრედიტს (1 კრედიტი უდრის 25 აკადემიურ საათს და მოიცავს როგორც საკონტაქტო, ისე დამოუკიდებელ საათებს). თითოეული აკადემიური წელი მოიცავს ორ სემესტრს (20 კვირა შემოდგომის სემესტრში, 20 კვირა გაზაფხულის სემესტრში. თითოეული სემესტრი ორგანიზებულია შემდეგნაირად: გაწერილია შემდეგნაირად: ლექციები/სემინარები/ლაბორატორიული/პრაქტიკული/სხვ. მეცადინეობები, 1 კვირა – შუასემესტრული გამოცდა, 1 კვირა – დოკუმენტური მასალის ჩაბარება და 3 კვირა - დასკვნითი და დამატებითი გამოცდები). პროგრამის სასწავლო გეგმის თანახმად, თითოეულ სემესტრში გათვალისწინებულია 30 კრედიტი. პროგრამა მოიცავს სასწავლო და კვლევით კომპონენტებს. სასწავლო კომპონენტი (სასწავლო კურსები, სულ 90 კრედიტი), შედგება სავალდებულო (60 კრედიტი) და არჩევითი (30 კრედიტი) ნაწილისაგან. პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი სავალდებულოა, მისი მოცულობა 30 კრედიტია. კრედიტების განაწილება პროგრამის კომპონენტებზე მოცემულია პროგრამის სასწავლო გეგმაში და პროგრამის კომპონენტების სილაბუსებში. პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრულ სწავლის შედეგების მიღწევას და შეესაბამება მისანიჭებელ კვალიფიკაციას.

ფაკულტეტის ვებგვერდზე პროგრამის განთავსებით უზრუნველყოფილია ყველა დაინტერესებული პირისთვის პროგრამის სტრუქტურისა და შინაარსის ხელმისაწვდომობა და გაცნობის შესაძლებლობა. პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ინფორმაცია მოცემულია მაგისტრატურის დებულებაში, რომელიც განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე https://gtu.ge/Learning/debuleba_magistraturis_sesaxeb.php

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- პროგრამის "საინჟინრო გეოდეზია" კურიკულუმი; სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები);
- „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასების და განვითარების წესი“;
- გამოკითხვის შედეგები;
- დამსაქმებლისა და შრომის ბაზრის კვლევა;
- დეპარტამენტის სხდომის ოქმები;
- მაგისტრატურის დებულება;
- ფაკულტეტის ვებგვერდი;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის :

1. სასურველია პროგრამის სასწავლო გეგმაში უფრო ნათლად გამოიკვეთოს არჩევითი და სავალდებულო სასწავლო კურსები.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/ კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სწავლების ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსი თავისი სპეციფიკით შეესაბამება პროგრამის, დაგეგმილი შედეგების და მისანიჭებელი კვალიფიკაციის სპეციფიკას. ყველა სავალდებულო სასწავლო კურსი (ასევე, სამაგისტრო ნაშრომი) მონაწილეობს პროგრამის სწავლის შედეგების ფორმირებაში, რაც დასტურდება კურიკულუმში წარმოდგენილი სწავლის შედეგების რუკაში მოცემული ინფორმაციით.

პროგრამის ყველა სასწავლო კურსის სილაბუსში ასახულია კურსის მოცულობა კრედიტებში, საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების თანაფარდობა, მიზნები, შედეგები, შესასწავლი საკითხები, სწავლების მეთოდები, შეფასების ფორმები, მეთოდები და კრიტერიუმები, სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურა და სხვ.:

- ყველა სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის მიზნებს, სწავლის შედეგებს, გამოყენებული სწავლა-სწავლების მეთოდებს, ასევე შესასწავლი მასალის სირთულესა და მოცულობას;
- სასწავლო კურსის შედეგები შეესაბამება მაგისტრატურის დონეს, თითოეული სწავლის შედეგის მიღწევა ფასდება მიმდინარე აქტივობების, შუასემესტრული და დასკვნითი/დამატებითი გამოცდის კომპონენტებით;
- სასწავლო კურსის შესწავლა უზრუნველყოფილია ქართული და უცხოური ლიტერატურით - სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალის დიდი ნაწილი წარმოადგენს 2010-2020 წლებში გამოცემულ სახელმძღვანელოებს, დამხმარე სახელმძღვანელოებს და სალექციო კურსებს (სალექციო მასალას). სილაბუსებში მითითებული ძირითად ლიტერატურის ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილია უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში არსებული წიგნადი ფონდის, სამეცნიერო ბაზების და ელექტრონული კატალოგების საშუალებით.

ინტერვიუს დროს მაგისტრანტებმა დაადასტურეს, რომ მათთვის ცნობილია სასწავლო კურსების სილაბუსების შინაარსი და საჭიროების შემთხვევაში შეუძლიათ განმრტების მიღება სასწავლო კურსის განმახორციელებლისაგან. ყოველივე ზემოთ აღნიშნული უზრუნველყოფს სწავლის შედეგის მიღწევას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- პროგრამა "საინჟინრო გეოდეზია", ასევე პროგრამის დანართი - პროგრამის სწავლის შედეგების და პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- ბიბლიოთეკის კატალოგი <http://gtu.ge/Library/>
- პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის ჩამონათვალი საგნის/საგნების მითითებით;
- სწავლის შედეგების შეფასების ანგარიში;
- გამოკითხვის შედეგები;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:
-
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:
1. სასურველია დამატებითი ლიტერატურას დაემატოს თანამედროვე უცხოენოვანი ლიტერატურა.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
-
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში):
-
შეფასება
<input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4. პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>პროგრამის კომპონენტები შინაარსობრივად თანმიმდევრულია და მაგისტრანტს, თეორიულ ცოდნასთან ერთად, უვითარებს პრაქტიკულ, კვლევით და ტრანსფერულ უნარებს.</p> <p>პროგრამის პრაქტიკული კომპონენტი ინტეგრირებულია სწავლის ძირითადი სფეროს სასწავლო კურსებში, რაც მთელი პროგრამის ფარგლებში ემსახურება პრაქტიკული უნარების თანმიმდევრულ ჩამოყალიბება-განვითარებას. ამავდროულად, მაგისტრანტებმაც და დამსაქმებლებმაც დაადასტურეს პრაქტიკული კომპონენტის გაზრდის საჭიროება.</p> <p>კვლევითი უნარები ვითარდება როგორც სამაგისტრო ნაშრომის შესრულებით, ისე ექსტრაკურსულური აქტივობების მეშვეობით - როგორც უნივერსიტეტის წარმომადგენლების და მაგისტრანტებთან ინტერვიუებიდან გაირკვა, ფაკულტეტი ზრუნავს მაგისტრანტთა სამეცნიერო-კვლევითი უნარ-ჩვევების განვითარებაზე, მაგისტრანტებს აქვთ შესაძლებლობა ჩაერთონ სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში, მიიღონ მონაწილეობა სხვადასხვა, მათ შორის ყოველწლიურ სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციებში და ა.შ. ყოველი წლის გაზაფხულზე სტუ-ში და შესაბამისად ფაკულტეტზეც ტარდება „სტუდენტური დღეები“, სადაც მონაწილეობენ სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის მაგისტრანტებიც. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სპორტული და მხატვრული შემოქმედების წრეები, არსებობს უნივერსიტეტის თეატრი.</p> <p>2015-2019 წლებში საინჟინრო გეოდეზიისა და გეოინფორმატიკის დეპარტამენტმა მიიღო მონაწილეობა ევროკავშირის ერაზმუს + დაფინანსებით მხარდაჭერილ პროექტში „ჰერიტაგ“ (უმადლესი განათლების ინტერდისციპლინარული რეფორმა ტურიზმის მართვისა და გამოყენებითი გეოინფორმატიკის სასწავლო პროგრამებში, HERITAG, Higher Education interdisciplinary Reform in Tourism management and Applied Geoinformation curricula). მთლიანად პროექტის კოორდინატორი-პარტნიორია ვალენსიის პოლიტექნიკური უნივერსიტეტი (ესპანეთი). გრანტის ფარგლებში ჩატარდა შემაჯამებელი ტრენინგი, რომელიც ითვალისწინებდა პრაქტიკული (გასვლითი აზომვითი სამუშაოები) და სააუდიტორიო მეცადინეობების</p>

სრულ პაკეტს. აღნიშნულ ტრენინგში მონაწილეობა მიიღეს საინჟინრო გეოდეზიისა და გეო-ინფორმატიკის დეპარტამენტის პროგრამების მაგისტრანტებმა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- შესაბამისი ხელშეკრულებები/მემორანდუმები;
- Erasmus+ საგრანტო პროექტის ვებ-გვერდი <http://heritag.ge/>
- გამოკითხვის შედეგები;
- Erasmus+ HERITAG-ის ტრენინგის შედეგები;
- ფაკულტეტის ვებგვერდი;
- ინტერსიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

1. სასურველია გაიზარდოს პროგრამის ინტერნაციონალიზაცია (გაცვლითი პროგრამები, უცხოელი სპეციალისტების ჩართულობა).

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში):

-

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის ყველა სასწავლო კურსის შესწავლა და დაგეგმილი შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია სასწავლო კურსის და შესასწავლი თემატიკის შესაბამისი სპეციფიკის სწავლება-სწავლების მეთოდების შერჩევითა და გამოყენებით. სასწავლო კურსებში გამოყენებული სწავლების მეთოდების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

სასწავლო კურსების შესწავლა ხორციელდება როგორც პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის უშუალო მონაწილეობით, ისე მაგისტრანტის დამოუკიდებელად შესრულებული სამუშაოებით. სასწავლო კურსების შესწავლისას გამოიყენება ლექცია, სემინარი, პრაქტიკული, ლაბორატორიული მუშაობა, პროექტი და სხვ. სასწავლო კურსების სილაბუსებში მოცემულია სწავლება-სწავლის მეთოდების შესაბამისი აქტივობები: დისკუსია/დებატები, ჯგუფური მუშაობა, დემონსტრირება, ახსნა-განმარტება, ვერბალური მეთოდი, დედუქცია, ინდუქცია, ანალიზი, სინთეზი, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, წერითი მუშაობა, ქმედებაზე ორიენტირებული, პროექტის შემუშავება-პრეზენტაცია, პრაქტიკული მუშაობა და სხვა. თითოეულ სასწავლო კურსში სწავლება-სწავლის მეთოდები არის რელევანტური და ორიენტირებულია

მაგისტრანტის ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინების შესაძლებლობაზე. სწავლის მეთოდების შესაბამისობის საკითხზე გამოიკითხენ მაგისტრანტები - შედეგების მიხედვით, განსაკუთრებული პრობლემა არ გამოიკვეთა, რესპოდენტთა უმეტესი ნაწილი თვლის, რომ სწავლების პროცესში გამოყენებული სწავლების მეთოდები და აქტივობები შესაბამისობაშია სასწავლო კურსების თემატიკასთან.

- მტკიცებულებები/ინდიკატორები:**
- პროგრამა „საინჟინრო გეოდეზია“; სასწავლო კურსის პროგრამები (სილაბუსები);
 - გამოკითხვის შედეგები;
 - სწავლება-სწავლის მეთოდები და შესაბამისი აქტივობები
<https://gtu.ge/quality/Files/Pdf/GEO%20scavlmეთი.pdf>
 - ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:
-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:
-

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
-

- შეფასება**
- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
 - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
 - ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
 - არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სტუდენტის შეფასების სისტემა ზოგადად მითითებული პროგრამაში და დეტალურად აღწერილია პროგრამის კომპონენტების სილაბუსებში.

გამოყენებული შეფასების სისტემა შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილს. შეფასების სისტემა სასწავლო კომპონენტის შემთხვევაში მოიცავს 2 ფორმას (შუალედურს და დასკვნითს), სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი (სამაგისტრო ნაშრომი) ფასდება ერთჯერადად (დასკვნითი შეფასებით), შეფასების თითოეული ფორმისთვის დადგენილია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. გამოყენებული შეფასების სისტემა ითვალისწინებს პროგრამის კომპონენტის სპეციფიკას და მოიცავს შეფასების ადეკვატურ ფორმებს, კომპონენტებსა და მეთოდებს, რომლებიც უზრუნველყოფენ სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურებას, შეფასების კრიტერიუმებით კი დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე.

ცალკეულ შემთხვევებში მაგისტრანტის შეფასება ხდება ერთზე მეტი შემფასებლის მიერ. უკუგება უზრუნველყოფილია. მაგისტრანტების საშუალება აქვთ ინფორმაცია შეფასების შესახებ მიიღონ უშუალოდ პროგრამის ხელმძღვანელისაგან და სასწავლო კურსის განმახორციელებლისაგან, ასევე - უნივერსიტეტის ვებგვერდზე არსებულ სტუდენტთა აკადემიური

მოსწრების მონიტორინგის სისტემის საშუალებით. აკადემიური მოსწრების მონიტორინგის ელექტრონული სისტემა გამჭვირვალეა და უზრუნველყოფს ინფორმირებულობას მიღწეული შედეგების შესახებ. შეფასების კრიტერიუმების წინასწარი ცოდნა, აგრეთვე ინფორმაცია შუალედური და დასკვნითი შეფასებების შესახებ აძლევს მაგისრანტს შესაძლებლობას გაითვალისწინოს საკუთარი ხარვეზები და იზრუნოს მათ გამოსწორებაზე.

უნივერსიტეტში არსებობს მიღებული შეფასებების გასაჩივრების სისტემა: სტუდენტი, რომელიც არ ეთანხმება სწავლის შედეგების შეფასებას (მიმდინარე შეფასება, შუასემესტრული/დაკვნიტი/დამატებითი გამოცდა, ტესტირება, სამაგისტრო ნაშრომის, საკურსო პროექტის/სამუშაოს და სხვა სახის გამოცდა/ტესტირება/შეფასება), უფლებამოსილია, შეფასების შედეგის გაცნობიდან ხუთი სამუშაო დღის ვადაში, დასაბუთებული საჩივრით მიმართოს დეკანს და მოითხოვოს შედეგების გადასინჯვა. საჩივარს განიხილავს და შესაბამის დასკვნას შეიმუშავებს დეკანის ბრძანებით შექმნილი დარგობრივი კომისია. დასკვნის საფუძველზე, დეკანი იღებს გადაწყვეტილებას ან უზრუნველყოფს საკითხის ფაკულტეტის საბჭოზე განხილვას. ინტერვიუს დროს ამ გასაჩივრების მექანიზმზე ისაუბრეს პროგრამის განმახორციელებლებმა და მაგისტრანტებმა.

პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი პერიოდულად მონაწილეობს სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების გამოყენების მიზნით დაგეგმილ ტრენინგებში და იღებს თანამედროვე ინფორმაციას ამ მიმართულებით. გამოყენებული შეფასების სისტემა (მეთოდები, კრიტერიუმები, ქულათა გრადაცია და სხვ.) გამჭვირვალეა და ხელმისაწვდომი მაგისრანტებისათვის, თუმცა, შეფასების მეთოდებთან და კრიტერიუმებთან დაკავშირებით არსებობს გარკვეული შენიშვნები:

- შუალედური შეფასებების (მიმდინარე აქტივობების და შუასემესტრული გამოცდის) მინიმალური ჯამური დადებითი შეფასებაა 30 ქულა, მაგრამ არ არის გაწერილი რა მინიმალური ზღვარია შუასემესტრული გამოცდის და მიმდინარე აქტივობების. გარდა ამისა, ვინაიდან სწავლის შედეგების (პრაქტიკული უნარების) მიღწევისთვის პრაქტიკული (პრაქტიკული/ლაბორატორიული) კომპონენტები მნიშვნელოვანია, საჭიროა პრაქტიკულის კომპონენტებში მინიმალური ზღვარის დადგენა;
- საჭიროა სამაგისტრო ნაშრომების შინაარსის მეტი კონტროლი.

რეკომენდაციასთან „პროგრამის შესაბამისი სასწავლო კურსების შეფასების სისტემაში პრაქტიკული კომპონენტების (პრაქტიკული/ლაბორატორიული სამუშაოების) შეფასებებში მინიმალური ზღვარის განსაზღვრა“ და არგუმენტირებულ პასუხში მითითებულ მოსაზრებებთან დაკავშირებით დამატებით განვმარტავთ, რომ შუალედური შეფასების მინიმალური ზღვარი რათქმაუნდა განსაზღვრულია უნივერსიტეტის რეგულაციებით, თუმცა რეკომენდაცია ითვალისწინებს გაიმიჯნოს რამდენია შუალედური გამოცდისა და პრაქტიკული კომპონენტის (პრაქტიკული/ლაბორატორიული სამუშაოების) მინიმალური ზღვარი, რომელიც ჯამურად იგივე დარჩება რაც მოცემულია სილაბუსებში. რეკომენდაციის გათვალისწინების შემთხვევაში გამოირიცხება დასკვნით შეფასებაზე სტუდენტის დაშვება შეფასების შუალედურ ფორმაში მინიმალური კომპეტენციის ზღვარის გადალახვით (დადგენილი ქულის მიღებით) პრაქტიკულ/ლაბორატორიულ სამუშაოებში შეფასების მიღების გარეშე (შეფასების სხვა კომპონენტებში ქულების დაგროვების შედეგად).

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- პროგრამა „საინჟინრო გეოდეზია“;
- სასწავლო კურსის პროგრამები (სილაბუსები);
- სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2020 წლის 12 ოქტომბრის დადგენილება № 01-05-04/145 „სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქციის ცვლილებების“ შესახებ

- აკადემიური მოსწრების მონიტორინგის ელ.სისტემა https://leqtori.gtu.ge/2019_2020/I/B/info
- სწავლის შედეგების შეფასების გასაჩივრების წესი <https://gtu.ge/News/13613/>
- შეფასების ფორმები, კომპონენტები და მეთოდები <https://gtu.ge/quality/axali/shefasebisforma.pdf>;
- სტუ-ში პლაგიატზე შემოწმების წესი: [construction.gtu.ge/wp-content/uploads/2018/03/plagiatis_ardebobaze_shemowmebis_wesi.pdf](https://gtu.ge/wp-content/uploads/2018/03/plagiatis_ardebobaze_shemowmebis_wesi.pdf);
- მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტის შეფასების წესი;
- გამოკითხვის შედეგები;
- ფაკულტეტის ვებგვერდი;
- ინტერვუს შედეგები.

რეკომენდაციები:
 1. პროგრამის შესაბამისი სასწავლო კურსების შეფასების სისტემაში პრაქტიკული კომპონენტების (პრაქტიკული/ლაბორატორიული სამუშაოების) შეფასებებში მინიმალური ზღვარის განსაზღვრა.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:
 1. საჭიროა სამაგისტრო ნაშრომების შინაარსის მეტი კონტროლი.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
 -

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში):
 -

შეფასება

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	<input checked="" type="checkbox"/>			

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
 სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესე-

ბაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტში ექსპერტთა მიერ ონლაინ-ვიზიტისას (შემდგომში - ვიზიტი) ფოკუს-ჯგუფებთან ონლაინ შეხვედრების ჩატარების და შესაბამისი დოკუმენტაციის გაცნობის შედეგად დადგინდა, რომ პროგრამა სთავაზობს მაგისტრანტს ყველა იმ საჭირო დახმარებასა და კონსულტაციას, რომელიც აუცილებელია სასწავლო პროცესის დასაგეგმად, კვლევითი სამუშაოს განსახორციელებლად და სამაგისტრო ნაშრომის მოსამზადებლად. ამასთანავე, ექსპერტთა ჯგუფისათვის წარმოდგენილი დოკუმენტების, აკადემიურ პერსონალთან გასაუბრებისა და პროგრამის მაგისტრანტებისა და კურსდამთავრებულების გამოკითხვის შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მაგისტრანტებს მიეწოდებათ სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ყველა აუცილებელი ინფორმაცია. ასევე, ინფორმაცია მიმდინარე ან დაგეგმილი ადგილობრივი და საერთაშორისო კონფერენციების, გრანტების, კვლევების და გაცვლითი პროგრამების შესახებ. მაგისტრანტებს ყველა საჭირო ინფორმაციას აწვდიან და სასწავლო პროცესებთან დაკავშირებით კონსულტაციებს უტარებენ როგორც უნივერსიტეტის ადმინისტრაციული პერსონალი (სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენლები), ასევე ფაკულტეტისა და პროგრამაში ჩართული პერსონალიც. მაგისტრანტებს ასევე საშუალება აქვთ გაეცნონ საჭირო ინფორმაციას საგანმანათლებლო პროგრამის, სასწავლო პროცესის, საუნივერსიტეტო სერვისების, სხვადასხვა დაგეგმილი ადგილობრივი და საერთაშორისო ღონიძირებებისა და პროექტების თაობაზე ფაკულტეტის ოფიციალური ვებ-გვერდის მეშვეობითაც.

აქვე აღსანიშნავია, რომ მაგისტრანტების ინფორმირებისა და კონსულტირების პროცესში ასევე ჩართულნი არიან ფაკულტეტის დეკანატის, ხარისხის უზრუნველყოფისა და სასწავლო პროცესის მართვის სამსახურების წარმომადგენლები. ამასთანავე, როგორც ონლაინ-ვიზიტისას გამოიკვეთა, მაგისტრანტებთან კომუნიკაცია დაუბრკოლებლად ხორციელდება ელექტრონული ფოსტისა და სატელეფონო კომუნიკაციის მეშვეობით. მაგისტრანტებს ასევე საშუალება აქვთ აკადემიურ პერსონალთან განსაზღვრულ ინდივიდუალურ საკონსულტაციო საათებში მიიღონ ყველა საჭირო დახმარება და ინფორმაცია. ასევე აღსანიშნავია, რომ მაგისტრანტებს მიეწოდებათ ამომწურავი ინფორმაცია პროგრამისა და პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი კვლევითი და სასწავლო საქმიანობის შესახებ.

როგორც ვიზიტისას შესაბამისი ფოკუს-ჯგუფებთან ჩატარებული ინტერვიუებიდან და შესაბამისი დოკუმენტაციის გაცნობის შედეგად გამოიკვეთა, მაგისტრანტები აქტიურად არიან ჩართულნი პროგრამის განვითარებისა და შეფასების პროცესშიც. პერიოდულად ტარდება მაგისტრანტების როგორც საუნივერსიტეტო, ასევე საფაკულტეტო და უშუალოდ პროგრამის შიდა გამოკითხვა, რომლითაც ფასდება როგორც პროგრამა და მისი უზრუნველყოფისათვის აუცილებელი ადამიანური და მატერიალურ-ტექნიკური რესურსები, ასევე, ზოგადსაუნივერსიტეტო სერვისის ხარისხიც. თუმცა, აღსანიშნავია რომ მაგისტრანტებისთვის აღნიშნულ გამოკითხვის პროცესებში მონაწილეობა და კითხვარების შევსება ნებაყოფლობით ხასიათს ატარებს, რაც თავის მხრივ განაპირობებს გამოკითხულთა დაბალ რიცხოვრივ მონაცემებს. მაგისტრანტების შეფასების პროცესში მაქსიმალურად ჩართვისა და პროგრამის შემდგომი განვითარების მიზნით, სასურველია თითოეული სასწავლო კურსისა და ლექტორის სასწავლო საქმიანობის შეფასების კითხვარების შევსებამ, რომლებიც თითოეული კურსის დასრულების შემდეგ წარედგინებათ მაგისტრანტებს, მიიღოს სავალდებულო ხასიათი. აღნიშნული კითხვარების სავალდებულო და ანონიმური სახით შევსება მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს როგორც თითოეული სასწავლო კურსის, ასევე მაგისტრანტების საჭიროებაზე მორგებული სასწავლო პროგრამის ფორმირებაში. აქვე ხაზგასასამელია მაგისტრანტთა აქტიური ჩართულობა

ბა უშუალოდ პროგრამის თვითშეფასების პროცესში. როგორც ვიზიტისას გამოიკვეთა, სწავლების პროცესის განმავლობაში, ყველა სხვა დაინტერესებულ მხარეებთან ერთად მაგისტრანტები აქტიურად მონაწილეობენ პროგრამის განვითარებისა და ხელშეწყობის მუშაობის პროცესში, რომლის ერთ-ერთ მთავარ ამოცანას მაგისტრანტთა რჩევების, მოსაზრებებისა და ხედვების გაზიარების საფუძველზე, პროგრამის შემდგომი გაუმჯობესება და დახვეწა წარმოადგენს. აქვე აღსანიშნავია, რომ როგორც პროგრამის მაგისტრანტებისა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგად გამოიკვეთა მოცემული პროგრამა უზრუნველყოფს მაგისტრანტებსა და პროგრამაში ჩართულ აკადემიურ პერსონალს შორის მჭიდრო კავშირს, რაც უდაოდ ხელს უწყობს მაგისტრანტთა მიღწევების გაუმჯობესებას და მათ აქტიურ ჩართულობას სამეცნიერო-კვლევით პროექტებში.

მნიშვნელოვანია ასევე აღინიშნოს, რომ პროგრამა მაგისტრანტებს სთავაზობს გაცვლით პროგრამებში და საერთაშორისო სასწავლო კურსებში მონაწილეობის შესაძლებლობას. ამასთანავე აღსანიშნავია პროგრამის აკადემიური პერსონალის მდიდარი პრაქტიკული გამოცდილება, რაც მნიშვნელოვნად აძლიერებს პროგრამის პრაქტიკულ კომპონენტს და თავის მხრივ ახალ შესაძლებლობებს უქმნის მაგისტრანტებს მაქსიმალურად ჩაერთონ პრაქტიკულ და საველე საქმიანობაში, გაიარონ სტაჟირება სხვადასხვა დარგობრივ უწყებებსა და ორგანიზაციებში. ამ კუთხით აღსანიშნავია, რომ პროგრამის ფარგლებში გაფორმებულია თანამშრომლობის მემორანდუმები სხვადასხვა დარგობრივ ორგანიზაციებთან და დაწესებულებებთან, რაც ხელს უწყობს მაგისტრანტთა კვლევითი საქმიანობის შედგომ გაღრმავება და ხელშეწყობას, ასევე ზრდის მათი სტაჟირებისა და დასაქმების შესაძლებლობებს.

რაც შეეხება პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ ინტერნაციონალიზაციის პროცესების ხელშეწყობას, ამ კუთხით კიდევ ერთხელ აღსანიშნავია რომ პროგრამა სთავაზობს მაგისტრანტებს სხვადასხვა გაცვლით პროგრამებსა თუ პროექტებში ჩართვის შესაძლებლობას. თუმცა სასურველია მაქსიმალურად იქნას გამოყენებული პროგრამის ხელმძღვანელობის მიერ თავად უნივერსიტეტის მდიდარი გამოცდილება. გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტს მჭიდრო პარტნიორული ურთიერთობები აქვს მსოფლიოს მრავალ უნივერსიტეტთან და სამეცნიერო კვლევით ცენტრებთან, რომელთან ერთადაც ჩართულია სხვადასხვა საერთაშორისო კვლევით და სასწავლო პროექტებში, მაგისტრანტთა და პროფესორთა გაცვლით პროგრამებში და სხვ., სასურველია აღნიშნული შესაძლებლობები გამოყენებული იქნას მოცემული პროგრამის საერთაშორისო ასპექტების განვითარების მიზნით. ეს ხელს შეუწყობს მაგისტრანტების ჩართულობის ზრდას საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში და საგრანტო პროექტებში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- თანამშრომლობის მემორანდუმები;
- გამოკითხვის შედეგები;
- ფაკულტეტის ვებგვერდი;
- ინტერვიუ პროგრამის მაგისტრანტებთან და კურსდამთავრებულებთან;
- ინტერვიუ თვითშეფასების ჯგუფთან.

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

1. სასურველა მაგისტრანტთა მოტივაციის ამაღლების ხელშეწყობა საერთაშორისო ონლაინ-პროგრამებს, გაცვლით კურსებში თუ საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის მიმართულებით.
2. სასურველია სამომავლოდ პრაქტიკული კომპონენტის კიდევ უფრო მეტად გაძლიერების ხელშეწყობა, რათა მაგისტრანტებს გაუჩნდეთ სტაჟირებისა და დასაქმების პროგრამებში მონაწილეობის კიდევ უფრო მეტი შესაძლებლობა.
3. სასურველია შემუშავდეს მექანიზმები, რათა პროგრამის მაგისტრანტებისათვის აქტუალური გახდეს შესაფასებლად წარდგენილი თითოეული სასწავლო კურსისა და ლექტორის სასწავლო საქმიანობის შეფასების კითხვარის შევსება.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში):

-

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ონლაინ-ვიზიტისა (შემდგომში - ვიზიტი) და წარმოდგენილი დოკუმენტაციის გაცნობის შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პროგრამას უძღვება მაღალკვალიფიციური პერსონალი, რომელიც უზრუნველყოფს მაგისტრანტების სასწავლო და კვლევითი საქმიანობის წარმართვას. მაგისტრანტს შესაძლებლობა აქვს კვლევითი საქმიანობის დაგეგმვისა და სამაგისტრო ნაშრომის მომზადების პროცესში რეგულარული კონსულტაციები მიიღოს ხელმძღვანელისგან. ფოკუს-ჯგუფებთან ინტერვიუს შედეგად ასევე გამოიკვეთა, რომ აკადემიური პერსონალი მაქსიმალურად უზრუნველყოფს მაგისტრანტთათვის დახმარების გაწევას მათ მიერ სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის, საერთაშორისო პუბლიკაციების მომზადებასა თუ კვლევითი გრანტების მოპოვების პროცესში.

როგორც მაგისტრანტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, ფაკულტეტი მაგისტრანტს აძლევს საშუალებას კვლევითი საქმიანობის დაგეგმვისა და სამაგისტრო ნაშრომის მომზადების პროცესში რეგულარული კონსულტაციები მიიღოს როგორც ხელმძღვანელისგან ისე სხვა აკადემიური პერსონალისგანაც. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის ფუნქციები გაწერილია უნივერსიტეტის მაგისტრატურის დებულებაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- მაგისტრანტთა ხელმძღვანელების პირადი საქმეები;
- გამოკითხვის შედეგები;
- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შესრულებული სამაგისტრო ნაშრომები;
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დებულება მაგისტრატურის შესახებ https://gtu.ge/Learning/debuleba_magistraturis_sesaxeb.php
- ფაკულტეტის ვებგვერდი <https://gtu.ge/Mining/Educational-Programs/Magister.php>
- ინტერვიუ პროგრამის მაგისტრანტებთან და კურსდამთავრებულებთან;
- ინტერვიუ აკადემიურ პერსონალთან და მაგისტრანტების ხელმძღვანელებთან.

რეკომენდაციები: -
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: -
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): 1. მჭიდრო და პროდუქტიული თანამშრომლობის მექანიზმის არსებობა პროგრამის აკადემიურ პერსონალსა და მაგისტრანტებს შორის.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში): -
შეფასება <input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	<input checked="" type="checkbox"/>			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
<ul style="list-style-type: none"> ➤ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➤ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➤ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; ➤ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

წარმოდგენილ პროგრამას ახორციელებს სტუ-ს აკადემიური და მოწვეული პერსონალი, რომლებიც პროგრამაში ჩართულები არიან სტუ-ს შიდა რეგულაციების შესაბამისად და რომელიც თანხვედრაშია მოქმედ კანონმდებლობასთან.

დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით, აკადემიური პერსონალის შტატების განსაზღვრისას უნივერსიტეტში ითვალისწინებს მის მიერ განხორციელებადი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების საჭიროებებს და აცხადებს ვაკანსიებს შესაბამის მიმართულებებზე. თანამდებობაზე დანიშვნისას უნივერსიტეტი ითვალისწინებს აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციას და გამოცდილებას, სამეცნიერო ნაშრომებს, რომელიც ადასტურებს შესაბამის დარგში პირის კომპეტენციებს. მოწვეული პერსონალის ან მასწავლებლის კვალიფიკაცია დასტურდება პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისთვის აუცილებელი ცოდნის, გამოცდილებითა და კომპეტენციით.

პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის კვალიფიკაცია, რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის განხორციელებას და პროგრამის მდგრადობას. პროგრამას ახორციელებს 14 აკადემიური და 2 მოწვეული პერსონალი, რაც უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას. აკადემიური პერსონალიდან 5 პროფესორია, 9 - ასოცირებული პროფესორი.

პროგრამის ხელმძღვანელს აქვს პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, 2000 წლიდან არის სტუ-ს სამარკუშიდერო საქმისა და საინჟინრო გეოდეზიის კათედრის თანამშრომელი, 2013 წელს მიენიჭა ინჟინერიის დოქტორის აკადემიური ხარისხი, 2017 წლიდან არის სტუ-ს სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი და მოქმედი სამაგისტრო პროგრამის "საინჟინრო გეოდეზია" ხელმძღვანელი. გარდა აკადემიური გამოცდილებისა, აქვს პრაქტიკული სამუშაო გამოცდილება

აღსანიშნავია, რომ პროგრამის აკადემიური პერსონალის შემადგენლობაში არ არიან ასისტენტ(ებ)ი და/ან ასისტენტ-პროფესორ(ებ)ი, რაც ძალიან მნიშვნელოვანია ახალგაზრდა კადრების მოზიდვისა და შემდგომი დაწინაურებისათვის, ასევე პროგრამის მდგრადობისათვის. ფაკულტეტის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ აქვთ ასისტენტისა და ასისტენტ-პროფესორის ვაკანტური ადგილები, რომლებსაც უახლოეს მომავალში გამოაცხადებენ, თუმცა ამავდროულად ვერ განმარტეს მოცემულ მომენტამდე რა აფერხებდა ამ პროცესს.

რეკომენდაციასთან მიმართებაში კიდევ უფრო ამყარებს ექსპერტთა ჯგუფის პოზიციას დაწესებულების მიერ მოყვანილი აგრუმენტაცია („ზემოაღნიშნულ თანამდებობაზე კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს მხოლოდ დოქტორანტს და 2017 წლის მონაცემებით დეპარტამენტს არ ჰყავდა დოქტორანტები. ვინაიდან დღეის მდგომარეობით დეპარტამენტში მუშაობს 4 დოქტორანტი ახალი კონკურსი ჩატარდება 2021 წლის აგვისტოში და საკონკურსოდ გამოყოფილი იქნება, როგორც ასისტენტ-პროფესორების, ასევე ასისტენტების საკონკურსოდ ადგილები.“), რაც ხაზს უსვამს იმას, რომ, თუ კი კონკურსის შემდეგ, თუნდაც იმავე წელს, ეყოლებოდათ დოქტორანტები მას მოუწევდა 4 წელი მოცდა ასისტენტის თანამდებობაზე არჩევისათვის, უკეთეს შემთხვევაში ასისტენტ პროფესორის. ამიტომ ექსპერტთა ჯგუფი უცვლელად ტოვებს რეკომენდაციას ამ ქვესტანდართან მიმართებაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

1. პროგრამა, სასწავლო კურსების სილაბუსები;
2. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმეები;
3. აკადემიური პერსონალის სერტიფიკატები და სამეცნიერო შრომების ჩამონათვალი;

<p>4. გამოკითხვის შედეგები;</p> <p>5. ფაკულტეტის დებულება;</p> <p>6. მაგისტრანტის ხელმძღვანელის ფუნქციები;</p> <p>7. პროგრამის ხელმძღვანელის სტატუსი, 2016 წლის 20 ივლისის საკადემიური საბჭოს დადგენილება №2092.</p>
<p>რეკომენდაციები:</p> <p>1. უნივერსიტეტმა უნდა უზრუნველყოს ახალგაზრდა კადრების მოზიდვისა და შემდგომი დაწინაურების პოლიტიკის შემუშავება და დანერგვა.</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:</p> <p>-</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <p>-</p>
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში):</p> <p>-</p>
<p>შეფასება</p> <p><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<p>4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება</p> <p>➤ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;</p> <p>➤ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>სტუ-ში ყოველწლიურად ხორციელდება აკადემიური პერსონალის სამეცნიერო/კვლევითი მუშაობის შედეგების შეკრება და შეფასება. აღნიშნულ პროცესში ჩართულნი არიან დეპარტამენტის ხელმძღვანელები. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს აფასებს მაგისტრანტთა გამოკითხვის, აკადემიური მოსწრებისა და სემესტრული/წლიური დატვირთვისა და თვითშეფასების მიხედვით ჩატარებული სამუშაოების მიხედვით. შეფასების შედეგები გამოიყენება აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის.</p> <p>სამაგისტრო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელია აკადემიური/მოწვეული პერსონალის სამეცნიერო საქმიანობის უზრუნველყოფა. უნივერსიტეტის/ფაკულტეტის წარმომადგენლებთან და პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან შეხვედრის დროს დაისვა კითხვა მათი სამეცნიერო პროექტების ჩართულობასა და უნივერსიტეტის/ფაკულტეტის მხრიდან ამ კუთით მხარდაჭერის შესახებ. გამომდინარე მათი პასუხებიდან ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ უნივერსიტეტმა უნდა უზრუნველყოს სამეცნიერო პროექტებში აკადემიური/მოწვეული აქტიური ჩართულობა.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები:</p> <p>○ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/მოწვეული პერსონალის CV, დიპლომი, სამეცნიერო შრომები და კონფერენციებში მონაწილეობის მონაცემები;</p>

<ul style="list-style-type: none"> ○ აკადემიურ, მოწვეულ პროფესორზე და მასწავლებელთა პერსონალზე სახელფასო დანამატის (ბონუსის) გაცემის წესი; ○ გამოკითხვის შედეგები; ○ ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: 1. უნივერსიტეტმა უზრუნველყოს სამეცნიერო პროექტებში აკადემიური/მოწვეული პერსონალის ჩართულობა.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის -
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -
შეფასება <input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

<h3>4.3 მატერიალური რესურსი</h3>
<p>პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>პროგრამის განმახორციელებელი ფაკულტეტის ინფრასტრუქტურა და ტექნიკური აღჭურვილობა რაოდენობრივად და ხარისხობრივად უზრუნველყოფს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას.</p> <p>მაგისტრანტებს და პროგრამის განმახორციელებლებს ემსახურება ცენტრალური და ფაკულტეტის ბიბლიოთეკა (როგორც ცენტრალური ბიბლიოთეკის ფილიალი). ცენტრალურ ბიბლიოთეკაში შესაძლებელია სამკითხველო დარბაზის, შეხვედრებისა და ჯგუფური მუშაობის, საინფორმაციო-ტექნოლოგიური აღჭურვილობის სივრცეებით (ინტერნეტში ჩართული კომპიუტერებით უზრუნველყოფილი ოთხი დარბაზით) სარგებლობა.</p> <p>პროგრამას ემსახურება სალექციო აუდიტორიები და ლაბორატორიები პრაქტიკული სამუშაოებისათვის. აღსანიშნავია, რომ პანდემიის პირობებში უნივერსიტეტმა შეძლო ონლაინ სივრცეში ადაპტირება და მეცადინეობა ნაწილობრივ ონლაინ რეჟიმში გრძელდება.</p> <p>პროგრამა უზრუნველყოფილია მატერიალური და ტექნიკური რესურსით, რომელიც ხელმისაწვდომია მაგისტრანტებისა და პროგრამის განმახორციელებელი პერსონალისთვის. ეს რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას. მატერიალურ-ტექნიკური რესურსის დიდი ნაწილი მნიშვნელოვნადაა გაახლებული. თუმცა გარკვეული სასწავლო სივრცეები საჭიროებს განახლებას. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ადმინისტრაციის მხარდაჭერით მატერიალური რესურსების მუდმივად განვითარება-სრულყოფა, ლაბორატორიების ინფრასტრუქტურის განახლება.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები:</p> <ul style="list-style-type: none"> ○ უნივერსიტეტის ცენტრალური ბიბლიოთეკა https://gtu.ge/Library/;

<ul style="list-style-type: none"> ○ საბიბლიოთეკო სისტემა "KOHA" http://opac.gtu.ge/ ○ სამეცნიერო მონაცემთა ბაზები https://gtu.ge/Library/Databases/ ○ მატერიალურ-ტექნიკური რესურსის და ინფრასტრუქტურის ადგილზე დათვალიერება; ○ ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: -
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: 1. სასურველია უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ადმინისტრაციის მხარდაჭერით მატერიალური რესურსების მუდმივად განვითარება-სრულყოფა, ლაბორატორიების ინფრასტრუქტურის განახლება.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -
შეფასება <input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
<p>პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>უნივერსიტეტის ბიუჯეტში გაწერილია ფაკულტეტების ბიუჯეტის მიხედვით, რომელშიც გათვალისწინებულია პროგრამის მხარდაჭერი ფინანსები. პროგრამის დაფინანსება დამოკიდებულია ფაკულტეტის ბიუჯეტზე. ბიუჯეტი დამტკიცებულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ (უნივერსიტეტის წესდების მიხედვით). ხარჯებში შემავალი კომპონენტებია: შრომითი ანაზღაურება როგორც საშტატო, ისევე შტატგარე პერსონალისთვის, მივლინების ანაზღაურება, ოფისის/საკანცელარიო ხარჯები და ა.შ. თუმცა არ ჩანს, რომ რომელიმე პროგრამაში იყოს ცალკე გამოყოფილი ფინანსები პერსონალის განვითარებაზე. ასევე, არ არის დეტალურად გაწერილი სამეცნიერო საქმიანობისა და განვითარებისთვის გამოყოფილი თანხა.</p> <p>2021 წლისა და შემდგომი წლების მხარდაჭერა პროგრამისათვის მნიშვნელოვანია. საჭიროა მომდევნო წლების ბიუჯეტში დეტალურად იყოს გაწერილი აკადემიური/მოწვეული პერსონალის და პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური რესურსის განვითარებისათვის ხარჯები. დამატებით განვმარტავთ, რომ რეკომენდაცია გამომდინარეობს შემდეგიდან: ა) უსდ-ში აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელების ხელის შესაწყობად უნდა უყოს შექმნილი აუცილებელი პირობები, მათ შორის ფინანსური რესურსები; ბ) პროგრამის ტექნიკური რესურსები განიცდის ამორტიზაციას და პერიოდულად ესაჭიროება განახლება-შევსება. ამიტომ ექვერთა ჯგუფი უცვლელად ტოვებს რეკომენდაციას ამ ქვესტანდართან მიმართებაში.</p>
მტკიცებულებები/ინდიკატორები <ul style="list-style-type: none"> ○ პროგრამა „სინჟინრო გეოდეზია“; ○ გამოკითხვის შედეგები;

<ul style="list-style-type: none"> ○ პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება და შეფასება; ○ უნივერსიტეტის/ფაკულტეტის/პროგრამის ბიუჯეტი.
რეკომენდაციები: 1. მომდევნო წლების ბიუჯეტში დეტალურად უნდა იყოს გაწერილი აკადემიური/მოწვეული პერსონალის და პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური რესურსის განვითარებისათვის ხარჯები.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: -
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში): -
შეფასება <input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		☒		

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ხარისხის უზრუნველყოფისა და პროგრამის შეფასების მიზნით უნივერსიტეტში და ფაკულტეტზე გამოიყენება შემდეგი ძირითადი სახელმძღვანელო დოკუმენტები: <ul style="list-style-type: none"> ▪ „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები“ (აკადემიური საბჭოს №01-05-04/108, 17.04.2018 დადგენილების დანართი), რომლის თანახმად, ხარისხი არის ობიექტის (მაგ., საქმიანობა, პროცესი, გაწეული მომსახურება) მახასიათებლების შესაბამისობის დონე

დადგენილ მოთხოვნებთან. ამ დოკუმენტის თანახმად, უნივერსიტეტის პოლიტიკა ხარისხის უზრუნველყოფის სფეროში ორიენტირებულია ISO 9000 სერიის სტანდარტებთან და ESG-2015-ის („ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტები და სახელმძღვანელო პრინციპები ევროპის უმაღლესი განათლების სივრცეში“) სახელმძღვანელო პრინციპებთან შესაბამისობის უზრუნველყოფაზე, სისტემის განვითარება ხდება ხარისხის მართვის პრინციპების შესაბამისად, ე. წ. PDCA ციკლის მიხედვით. დოკუმენტში დეტალურად არის აღწერილი: 1) ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმის შემუშავების პრინციპები (1.1. მომხმარებელზე ორიენტაცია, 1.2. ხელმძღვანელობის ლიდერობა, 1.3. თანამშრომელთა ჩართულობა, 1.4. მუდმივი გაუმჯობესება, 1.5. გადაწყვეტილებების მიღება ფაქტებისა და მონაცემების საფუძველზე, 1.6. ურთიერთსასარგებლო ურთიერთობა პარტნიორებთან) და 2) ხარისხის შიდა უზრუნველყოფის სტანდარტები (2.1. ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა, 2.2. პროგრამების შემუშავება და დამტკიცება, 2.3. სტუდენტზე ორიენტირებული სწავლა, სწავლება და შეფასება, 2.4. სტუდენტის მიღება, პროგრესის, აღიარება და სერტიფიცირება, 2.5. მასწავლებლები/ლექტორები, 2.6. სასწავლო რესურსები და სტუდენტების მხარდაჭერა, 2.7. ინფორმაციის მენეჯმენტი, 2.8. საჯარო ინფორმაცია, 2.9. მიმდინარე მონიტორინგი და პროგრამების პერიოდული შეფასება, 2.10. ხარისხის პერიოდული გარე უზრუნველყოფა).

- „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების წესი“ (აკადემიური საბჭოს №01-05-04/261, 23.09.2019 დადგენილების დანართი), რომელიც არეგულირებს საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, შეფასების და განვითარების პროცესებს, ადგენს პროგრამის შემუშავებისას გასათვალისწინებელ ასპექტებს (პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, მიზნები, შედეგები, მოცულობა კრედიტებში, სწავლების ენა, სწავლის შედეგების მიღწევის (სწავლება-სწავლის) მეთოდები, სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემა, პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური და მატერიალური რესურსი, პროგრამის მდგრადობის შეფასება, სხვ.) და პროგრამის შეფასებისა და განვითარების პროცესში შეფასების კრიტერიუმებს.
- სამთო-გეოლოგიურ ფაკულტეტზე „საინჟინრო გეოდეზიის“ სამაგისტრო პროგრამისთვის შემუშავებული დოკუმენტი „სწავლის შედეგების შეფასება და განვითარება“ - გარდა შეფასების თეორიული საფუძვლებისა, აღწერს პროგრამის შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცესებში მონაწილე ჯგუფების ფუნქციების, კერძოდ: ა) თვითშეფასების ჯგუფი - პროგრამის აკრედიტაციისთვის მზადების მიზნით იქმნება პროგრამის თვითშეფასების ჯგუფი (პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დარგის სპეციალისტები/პოტენციური დამსაქმებლები და სხვ.. აკრედიტაციის მიზნით წარდგენილი პროგრამის შემთხვევაში ჯგუფის წევრები იყვნენ: ჯგუფის წევრები იყვნენ პროგრამის ხელმძღვანელი, ფაკულტეტის დეკანატის წარმომადგენელი, პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალი, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, სტუდენტი, კურსდამთავრებული, პოტენციური დამსაქმებელი); ბ) სტუ-ს რექტორის ბრძანებით შექმნილი საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების საფაკულტეტო კომისია (ამოწმებს საგანმანათლებლო პროგრამებითა და სასწავლო კურსების სილაბუსებით გათვალისწინებული ლაბორატორიული აღჭურვილობის, სათანადო ლიტერატურის, პროგრამების განმახორციელებელი ადამიანური რესურსის, აუდიტორიებისა და პროგრამის სხვა პარამეტრების შესაბამისობას ავტორიზაციისა და აკრედიტაციის მოთხოვნებთან, აგრეთვე პროგრამის სასწავლო და კვლევითი კომპონენტების შესრულების პროცესის მიმდინარეობას). დოკუმენტში ხაზგასმით არის აღნიშ-

ნული პროგრამის შემუშავებისა და შეფასების პროცესში როგორც დაინტერესებული მხარეების (პროგრამის განმახორციელებლების, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დარგის სპეციალისტების) ჩართულობის, ისე მათი მოსაზრებებისა და შრომის ბაზრის მოთხოვნის შესწავლის მნიშვნელობა (რაც განხორციელდა პროგრამის შემუშავების პროცესში და დასტურდება დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით). ფაკულტეტზე შექმნილ დოკუმენტში (იხ. თავი „საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების ფორმირება და შესაბამისი გეგმის შემუშავება“) მოცემულია შეფასების თითოეული ასპექტის მოკლე განმარტება და გამოყენებული მექანიზმები, მაგ.: 1) პროგრამის მიზნების შესაბამისობა უნივერსიტეტის მისიასთან - მოცემულია უნივერსიტეტის მისიისა და პროგრამის მიზნების შეფასების რუკა; 2) პროგრამის სწავლის შედეგები - მითითებულია როგორც პროგრამის შედეგები, ისე პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების ურთიერთ შესაბამისობა რუკა; 3) კურიკულუმის ანალიზი - მოიცავს პროგრამის თითოეული სწავლის შედეგის ფორმირებაში მონაწილე პროგრამის კომპონენტების მითითებას და ამ შედეგში მათი წვლილის (გაცნობა/გაღრმავება/განმტკიცება) აღნიშვნას; 4) პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება - მოიცავს ზოგად აღწერას, პროგრამის შედეგების შეფასების პერიოდულობას (ერთი აკადემიური წლის ფარგლებში შეფასების ციკლის ეტაპებს, ამ პროცესში ჩართული პირების ფუნქციებს და ა.შ.); 5) შეფასების შედეგების გამოყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად - მიჩნეულია, რომ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ყველაზე მნიშვნელოვანია ეტაპი, როდესაც ხდება მიღებული შედეგები გაანალიზდება და ამის საფუძველზე პროგრამის უმჯობესება. ამ ეტაპზე ხდება შედეგების სამიზნე ნიშნულებთან დადარება და იმის ანალიზი, თუ რამდენად მიაღწიეს სტუდენტებმა სწავლის შედეგებს დადგენილ (სავარაუდო) დონეზე (რომელი შედეგის მიმართებაში სტუდენტების უმრავლესობის მონაცემებით ვლინდება დაგნენილზე ნაკლები მაჩვენებელი/შედეგის ვერმიღწევა ან/და სხვ.).

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობას კოორდინირებას უწევს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი არის უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით (№42, 28.03.2016; MES520001170216, 08.12.2020) შექმნილი თვითშეფასების ჯგუფის და პროგრამების შეფასების მიზნით შექმნილი საფაკულტეტო კომისიის თავმჯდომარე. ამავე კომისიის წევრები არიან ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამების კურატორი, დეპარტამენტების უფროსები, აკადემიური პერსონალის წარმომადგენელი და სტუდენტი. პროგრამის შეფასების პროცესი მოიცავს წინასწარ განსაზღვრულ პროგრამის შეფასების ეტაპებს, პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების ციკლს და პროცესების თანმიმდევრობას, ამ პროცესებში კონკრეტული შეფასების ინდიკატორების და ინსტრუმენტების გამოყენებას და ა.შ.

უნივერსიტეტში არსებული მიდგომების შესაბამისად, სამთო-გეოლოგიის ფაკულტეტზე პროგრამის განვითარება ხორციელდება PDCA პრინციპით (ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის მუშაობის სქემა დეტალურად არის აღწერილი აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშში), პროგრამის შეფასების პერიოდულობა, შეფასების ციკლი, მონაცემთა შეგროვების ეტაპები და შედეგების შეფასების გამოყენების თავისებურებები კი წესრიგდება „საინჟინრო გეოდეზიის“ სამაგისტრო პროგრამისთვის შემუშავებულია დოკუმენტით „სწავლის შედეგების შეფასება და განვითარება“. ვიზიტის ფორმატში ჩატარებულ შეხვედრებზე ფაკულტეტის წარმომადგენლებმა, მათ შორის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, პროგრამის ხელმძღვანელმა, პროგრამის განმახორციელებლებმა და მაგისტრანტებმა დაადასტურეს პროგრამის შეფასების და მოდიფიცირების პროცესში მონაწილეობა და ისაუბრეს საკუთარ როლზე ამ პროცესში. ასევე, გამოიკვეთა განახლებული პროგრამის განხილვაში როგორც კურსდამთავ-

რებულთა, ისე დამსაქმებელთა ჩართულობა და პროგრამით მათი დაინტერესების მაღალი ხარისხი. წარმოდგენილი დოკუმენტების და ინფორმაციის შესწავლის და ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული გასაუბრებების შედეგად გამოიკვეთა გასაუმჯობესებელი ასპექტები: 1) პროგრამის განვითარების, ასევე PDCA პრინციპის სრულად და ეფექტიანად გამოყენების შესაძლებლობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია მოხდეს პროგრამის ეფექტიანობის და მდგრადობის მრავალმხრივი კომპლექსური შეფასება-ანალიზი ყველა იმ მექანიზმის გამოყენებით, რომლებსაც თავად უნივერსიტეტი ხარისხის კონტროლის ეფექტიან მექანიზმებად მიიჩნევს (მაგ., პროგრამის ძლიერი და სუსტი მხარეები, განვითარების შესაძლებლობები და რისკები, იდენტიფიცირებული და შეფასებული პრობლემური/გასაუმჯობესებელი ასპექტები, საუკეთესო პრაქტიკების შესწავლა-ანალიზი, უცხოეთის უსდ-ების ანალოგიურ პროგრამებთან შედარება, სხვ.). ამ ეტაპზე დასტურდება ხარისხის უზრუნველყოფის თეორიული საფუძვლების საკმარისობა და რელევანტურობა, თუმცა ძირითადად ყურადღება ეთმობა პროგრამის შინაარსისა და სასწავლო პროცესის ხარისხის შეფასებას, ძირითადად გამოყენებულ მექანიზმებს კი მიეკუთვნება ლექციების კოლეგიალური შეფასებები და სხვადასხვა საკითხებზე გამოკითხვების მეშვეობით დაინტერესებული მხარეების აზრის შესწავლა; 2) უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონმთან (მ. 51¹, პ.7) შესაბამისობაში მოყვანის მიზნით უნდა შიგვალოს მაგისტრატურის დებულებაში (მ.6, პ.6.9) საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლებასთან დაკავშირებული ჩანაწერი.

ზემოთ აღნიშნული გარემოებები გახდა დასკვნის პროექტში მითითებული 2 რეკომენდაციის საფუძველი:

- რეკომენდაცია #5 *(კანონმდებლობასთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია ცვლილებების შეტანა უნივერსიტეტში მოქმედ (საერთო სამაგისტრო გამოცდების გარეშე პროგრამაზე ჩარიცხვასთან დაკავშირებულ) დოკუმენტებში)* - ექსპერტთა ჯგუფი ექვეყნე არ აყენებს უნივერსიტეტში მიმდინარე საგანმანათლებლო, სამეცნიერო-კვლევითი, ადმინისტრაციული და სხვა პროცესების განხორციელებას მოქმედ კანონმდებლობასთან სრული შესაბამისობით. რეკომენდაცია გულისხმობს არა უნივერსიტეტის საქმიანობის შეუსაბამოდ განხორციელებას, არამედ მითითებულ საუნივერსიტეტო რეგულაციაში კონკრეტული ჩანაწერების კორექტირების საჭიროებას, კერძოდ: „უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონმთან (მ. 52¹, პ.7) შესაბამისობაში მოყვანის მიზნით უნდა შეიცვალოს მაგისტრატურის დებულებაში (მ.6, პ.6.9) საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლებასთან დაკავშირებული ჩანაწერი. არგუმენტირებულ პასუხში დაწესებულება განმარტავს, რომ მიმდინარეობს სამართლებრივი აქტების მრავალმხრივი შეფასება-ანალიზი, რომლის ფარგლებში განხორციელდა გარკვეული ცვლილებები. რეკომენდაცია გაზიარებულია დაწესებულების მიერ და ამ ეტაპზე არსებული დარჩა უცვლელი.
- რეკომენდაცია #6 *(პროგრამის განვითარების, ასევე PDCA პრინციპის სრულად და ეფექტიანად გამოყენების შესაძლებლობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია პროგრამის მრავალმხრივი შეფასება-ანალიზი ყველა იმ მექანიზმის გამოყენებით, რომლებსაც თავად უნივერსიტეტი ხარისხის კონტროლის ეფექტურ მექანიზმებად მიიჩნევს)* - უნივერსიტეტს აქვს გამართული ხარისხის უზრუნველყოფის თეორიული საფუძვლები, გასაუმჯობესებელ ასპექტს კი წარმოადგენს მოქმედი (2018-2019 წლებში დამტკიცებული) რეგულაციების არასრული იმპლემენტაცია (მათ შორის, 2012 წლიდან მოქმედი, 2020 წელს კი მოდიფიცირებული პროგრამის ეფექტიანობის და მდგრადობის მრავალმხრივი კომპლექსური შეფასება-ანალიზის, პროგრამის ძლიერი და სუსტი მხარეების, პრობლემური/გასაუმჯობესებელი ასპექტების რისკების, პროგრამის განვითარების შესაძლებლობების/მექანიზმების, პროგრამის დინამიკის, უცხოეთის უსდ-ების ანალოგიურ პროგრამებთან დადარების, მიღებული შედეგების გამოყენების მი-

მართულებით). რეკომენდაცია შესრულებული იქნება, თუ შემდგომში, შიდა შეფასების (პროგრამის მონიტორინგის და პერიოდული შეფასების) პროცესში, დაწესებულება მოახდენს ყველა მის მიერ დადგენილი მიდგომისა და მექანიზმის გამოყენებას. ამ მოსაზრების საფუძველს წარმოადგენს როგორც დაწესებულების რეგულაციებში აღწერილი ხარისხის უზრუნველყოფის რელევანტური მექანიზმები და პროცედურები, ისე დაწესებულების არგუმენტირებულ პასუხში დაფიქსირებული მზაობა გათვალისწინოს წინამდებარე ქვესტანდარტის რეკომენდაცია პროგრამის შიდა შეფასების და განვითარების პროცესთან დაკავშირებით. აქვე აღსანიშნავია, რომ ამ მექანიზმების გამოყენების და შედეგების შეფასება იქნება შესაძლებელი გარკვეული პერიოდის შემდგომ, ამ პერიოდში განხორციელებული საქმიანობის შესწავლის შედეგად (მათ შორის, ყველა რეგულაციის ამოქმედებით და 5.3. ქვესტანდარტით გათვალისწინებული პირობების შესრულებით). ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, დასკვნის პროექტში მითითებულია რეკომენდაცია #5 ჩამოყალიბდა შედეგნაირად: „პროგრამის ხარისხის შეფასებისა და განვითარების პროცესი უნდა მიმდინარეობდეს დაწესებულების რეგულაციებით გათვალისწინებული მიდგომებისა და მექანიზმების სრული გამოყენებით, განსაკუთრებით პროგრამის მდგრადობისა და ეფექტიანობის სისტემატური და კომპლექსური შეფასება-ანალიზის მიმართულებით“.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ქვესტანდარტის შეფასება დარჩა უცვლელი, რადგან ამ ეტაპზე სრული შესაბამისობა დადასტურებული არ არის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების წესი“ (აკადემიური საბჭოს №01-05-04/261, 23.09.2019 დადგენილების დანართი);
- „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები“ (აკადემიური საბჭოს №01-05-04/108, 17.04.2018 დადგენილების დანართი);
- „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა და სტრატეგია“ (აკადემიური საბჭოს №01-05-04/97, 02.04.2018 დადგენილების დანართი);
- უნივერსიტეტის რექტორის ბრძანება (№42, 28.03.2016; MES520001170216, 08.12.2020) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების მიზნით საფაკულტეტო კომისიების შექმნის შესახებ;
- სამთო-გეოლოგიურ ფაკულტეტზე „საინჟინრო გეოდეზიის“ სამაგისტრო პროგრამისთვის შემუშავებული დოკუმენტი „სწავლის შედეგების შეფასება და განვითარება“;
- მაგისტრატურის დებულება;
- დამსაქმებლების, კურსდამთავრებულების, მაგისტრანტების კვლევის (გამოკითხვის) ანგარიშები;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

1. კანონმდებლობასთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია ცვლილებების შეტანა უნივერსიტეტში მოქმედ (საერთო სამაგისტრო გამოცდების გარეშე პროგრამაზე ჩარიცხვასთან დაკავშირებულ) დოკუმენტებში, კერძოდ - მაგისტრატურის დებულებაში.
2. პროგრამის ხარისხის შეფასებისა და განვითარების პროცესი უნდა მიმდინარეობდეს დაწესებულების რეგულაციებით გათვალისწინებული მიდგომებისა და მექანიზმების სრული გამოყენებით, განსაკუთრებით პროგრამის მდგრადობისა და ეფექტიანობის სისტემატური და კომპლექსური შეფასება-ანალიზის მიმართულებით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

-

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის თვითშეფასების ანგარიშში მითითებულია, რომ პროგრამის გარე შეფასებაში მოი-
აზრება შემდეგი გარემოებები: 2012 წლის 28 სექტემბრის № 485 გადაწყვეტილებით პროგრამას
მენიჭა აკრედიტაცია (ექსპერტებს შენიშვნები და რეკომენდაციები არ დაუფიქსირებიათ),
შემდგომში კი ხდებოდა ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში პროგრამის წლიური
თვითშეფასების წარდგენა, რომელშიც აისახებოდა წლის განმავლობაში განხორციელებული
ცვლილებები.

არსებობს პროგრამის გარე შეფასებები, რომლიც არ აისახა თვითშეფასების ანგარიშში, მაგრამ
არის დოკუმენტურად დადასტურებული დარგობრივი ორგანიზაციების ოფიციალური წერი-
ლებით (მაგ., შპს „აქსის კონსტრაქშენ“; შპს „ენგურჰესი“; გეოსაინფორმაციო სისტემებისა და
დისტანციური ზონდირების საკონსულტაციო ცენტრი „გეოგრაფიკი“; სსიპ გრიგოლ წულუ-
კიძის სამთო ინსტიტუტი). დამსაქმებლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ ისინი მონაწი-
ლეობდნენ გამოკითხვებში, შეიმუშავეს რეკომენდაციები, განიხილეს პროგრამის პროექტი,
რაც გახდა დადებითი შეფასების (დასკვნების) საფუძველი. პროგრამის შემუშავებაში და შეფა-
სების პროცესში პარტნიორების ჩართულობის შესახებ ინტერვიუს პროცესში ისაუბრეს ხა-
რისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, პროგრამის ხელმძღვანელმა და აკადემიურ-
მა პერსონალმა. ამავე დროს, ვერ მოხერხდა იმის დადგენა თუ რამდენად რეგულარულად
ხდებოდა დარგობრივი ორგანიზაციების/დაოუკიდებელი დარგის სპეციალისტების/უცხოე-
თის უსდ-ების წარმომადგენლების მიერ პროგრამის შეფასება აკრედიტაციის მიღების შემდ-
გომ პერიოდში - როგორი იყო შეფასების პერიოდულობა, ვის მიერ და როგორ შეფასდა პროგ-
რამა, რა რეკომენდაციები იყო შემუშავებული/გათვალისწინებული და ა.შ. მითითებული
გარემოებები მნიშვნელოვანია პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფისა და თანმიმდევრული
განვითარებისათვის, რადგან ასეთი ფორმით პერიოდული გარე შეფასება უზრუნველყოფს
დარგის სიახლეების და საუკეთესო პრაქტიკების დროულად გათვალისწინებას, სხვადასხვა
წელს მიღწეული შედეგების შედარებას, პროგრამის პროგრესის დადგენას და სხვ. აღნიშნუ-
ლი განხორციელებადია პარტნიორ დარგობრივ ორგანიზაციებთან და უცხოეთის უსდ-ებთან
არსებული მემორანდუმების/ხელშეკრულებების ფარგლებში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

1. უკუკავშირის ამსახველი მასალა (შპს „აქსის კონსტრაქშენ“; შპს „ენგურჰესი“; გეოსაინფორმაციო
სისტემებისა და დისტანციური ზონდირების საკონსულტაციო ცენტრი „გეოგრაფიკი“; სსიპ გრი-
გოლ წულუკიძის სამთო ინსტიტუტი);
2. ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

1. მიზანშეწონილია სისტემატურად (განსაზღვრული პერიოდულობით) განხორციელდეს პროგრამის გარე შეფასება დარგობრივი ორგანიზაციების/დამოუკიდებელი დარგის სპეციალისტების/უცხოეთის უსდ-ების მიერ.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში):

-

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის პერიოდულ შეფასებას ახორციელებს რექტორის ბრძანებით ((№42, 28.03.2016; MES520001170216, 08.12.2020) შექმნილია საფაკულტეტი კომისია (ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, საგანმანათლებლო პროგრამების კურატორები, დეპარტამენტების უფროსები, აკადემიური პერსონალი, სტუდენტები). პროგრამის შეფასების პროცესი, ეტაპები და მათი თანმიმდევრობა, შეფასებაში ჩართული სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები და სხვა რეგულირდება საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების წესით და სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმებით, რომლებიც ადგენენ პროგრამის ხარისხის შეფასების ეტაპებს და შეფასების ერთწლიან ციკლს. ამ დოკუმენტზე დაყრდნობით, სამთოგეოლოგიურ ფაკულტეტზე „საინჟინრო გეოდეზიის“ სამაგისტრო პროგრამისთვის შემუშავებულია დოკუმენტი „სწავლის შედეგების შეფასება და განვითარება“, რომელშიც დეტალურადაა მითითებული პროგრამის შეფასების მექანიზმები, ერთწლიანი პერიოდისთვის დადგენილი ეტაპები, პასუხისმგებელი პირები და მათი ფუნქციები, შეფასების ასპექტები, მათ შორის პროგრამის შედეგების მიღწევის შეფასება (სამიზნე ნიშნულებთან პროგრამის ათვისების შედეგების შედარება). შეფასების მექანიზმებს მიეკუთვნება პროგრამის შეფასება პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდებით, სხვადასხვა რაოდენობრივი მაჩვენებლების გამოყენებით, აკადემიური და მოწვეული პერსონალის სწავლების ხარისხის შეფასება და სხვ. შეფასების ერთ-ერთ მექანიზმად გამოიყენება კითხვარების მეშვეობით დაინტერესებულ მხარეთა (პროგრამის მაგისტრანტები, განმახორციელებლები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები) მოსაზრებების შესწავლა, რაც დასტურდება როგორც უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით, ისე ვიზიტის ფარგლებში დაინტერესებულ მხარეებთან გასაუბრების შედეგებით. ჩატარებულ გამოკითხვებში გამოყენებულია რელევანტური შინაარსის კითხვარე-

ბი, მიღებული სტატისტიკური მონაცემები და შედეგები შეფასებული და გაანალიზებულია. მნიშვნელოვანია, რომ გამოკითხვის პროცესში შესწავლილ იქნა მაგისტრანტთა მოსაზრებები როგორც სასწავლო პროცესთან, ისე სამაგისტრო ნაშრომების შერჩევასთან და შესრულებასთან, სამაგისტრო ნაშრომის სამეცნიერო ხელმძღვანელის საქმიანობის შეფასებასთან დაკავშირებით.

ექსპერტებთან გასაუბრებისას აკადემიურმა და მოწვეულმა პერსონალმა, ასევე, პროგრამის მაგისტრანტებმა დაადასტურეს, რომ მონაწილეობდნენ გამოკითხვებში, თუმცა ვერ დააკონკრეტეს რას ეხებოდა ეს გამოკითხვები, როგორი იყო გამოკითხვების შედეგები და ა.შ. შეფასების მექანიზმად მაგისტრანტები ძირითადად ასახელებდნენ გამოკითხვებს სასწავლო პროცესის ორგანიზებისა და პროგრამის განმახორციელებელთა შეფასებების მიზნით, ხოლო განმახორციელებლები - ლექციების კოლეგიალურ შეფასებას. პროგრამის ხელმძღვანელის და აკადემიური პერსონალის განმარტებით, საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინების მიზნით შესწავლი იქნა უცხოეთის უსდ-ების (ვალენსიის პოლიტექნიკური უნივერსიტეტი, ვალენსია, ესპანეთი; AGH სამეცნიერო-ტექნიკური უნივერსიტეტი, კრაკოვი, პოლონეთი; ვილნიუსის გედიმინას სახ. ტექნიკური უნივერსიტეტი, ვილნიუსი, ლატვია; ოსტრავას ტექნიკური უნივერსიტეტი, ოსტრავა, ჩეხეთის რესპუბლიკა; ვარმინო-მაზურის უნივერსიტეტი, ოლშტინი, პოლონეთი) გამოცდილება, თუმცა პროგრამის განმახორციელებლებმა ვერ განმარტეს 2012-2020 პერიოდში რა პერიოდულობით და უცხოეთის უსდ-ების რომელ პროგრამებთან მოხდა პროგრამის დადარება, რა იყო დადარების შედეგი და სხვ.

მეტი სიხცადისთვის, ფაკულტეტის წარმომადგენლებს ეთხოვა დამატებით წარედგინა პროგრამის მონიტორინგის და პერიოდული შეფასების, ასევე უცხოეთის პროგრამებთან პერიოდული დადარების ამსახველი ინფორმაცია. ექსპერტებს განემარტათ, რომ 2013-2017 წლებში ივსებოდა სსიპ განათლების ხარისხს ეროვნულ ცენტრში წარსადგენი ყოველწლიური თვით-შეფასების ფორმა, სადაც იყო მითითებული საანგარიშო პერიოდში პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შინაარსი, მიზანი და შედეგები, პროგრამის განვითარებისა და ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით გატარებული ღონისძიებების აღწერა, ინფორმაციის დამადასტურებელი დოკუმენტები და სხვ. ამ ყოველწლიური ანგარიშის წარდგების ვალდებულების გაუქმების შემდგომ (2018-2020) პერიოდში ანალოგიური ინფორმაციის შემცველი შემაჯამებელი დოკუმენტი პროგრამის შეფასებს მიზნით აღარ გამოიყენებოდა.

წინამდებარე ქვესტანდარტთან მიმართებაში აღსანიშნავია შემდეგი: დოკუმენტურად დადასტურებული ინფორმაციის არარსებობის გამო არ დგინდება: 1) თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, 2012 წელს აკრედიტაციის მიღების შემდგომ პერიოდში პროგრამის პერიოდულად დადარება უცხოური უსდ-ების ანალოგიურ პროგრამებთან და ამ დადარების შედეგები; 2) შეფასების პროცესში ყველა იმ მექანიზმის გამოყენება, რომელსაც თავად დაწესებულება ეფექტიან მექანიზმად მიიჩნევს. ასევე, პროგრამის მდგრადობის და ეფექტიანობის შეფასების, მონიტორინგისა და ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის შედეგების გამოიყენება, მათ შორის 2018-2020 წლებში პროგრამის განვითარებისა და ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით გატარებული ღონისძიებების ქრილში.

ზემოთ აღნიშნული გარემოებები გახდა დასკვნის პროექტში მითითებული 2 რეკომენდაციის საფუძველი:

- რეკომენდაცია #7 (სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით პერიოდულად უნდა მოხდეს პროგრამის ყველა ასპექტის (მათ შორის, პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური რესურსის საკმარისობა, მდგომარეობა, უსაფრთხოოდ გამოყენების შესაძლებლობა) მრავალმხრივი და ობიექტური შეფასება, შედეგების ანალიზი, ასევე, გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით განხორციელებული შეფასების შედეგების ერთიან დოკუმენტში ასახვა და დაინტერესებული მხარეები-სთვის გაცნობა) - დასკვნის პროექტში არსებულ ჩანაწერს დაემატა რეკომენდაცია

დაწესებულებაში არსებული მიდგომებისა და მექანიზმების იმპლემენტაციის შესახებ, რაც შინაარსობრივად არ ცვლის უკვე არსებულ რეკომენდაციას და წარმოადგენს დაწესებულების მიერ გაზიარებული (5.1. ქვესტანდარტის) რეკომენდაციის ნაწილს. ასევე, უცვლელი რჩება პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შეფასების შესახებ რეკომენდაცია, რომელიც ეხება არა პროგრამის მატერიალური-ტექნიკური რესურსის არარსებობას/არასაკმარისობას, არამედ უსაფრთხოდ მისი გამოყენების პერიოდულ შემოწმებას. საბოლოო სახით რეკომენდაცია ჩამოყალიბდა შემდეგნაირად: „ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით პერიოდულად უნდა მოხდეს პროგრამის ყველა ასპექტის (მათ შორის, პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური რესურსის უსაფრთხოდ გამოყენების) კომპლექსური, მრავალმხრივი შეფასება, პროგრამის მდგრადობისა და ეფექტიანობის დადგენა, წლების მიხედვით პროგრესის შესწავლა-ანალიზი დაწესებულებაში არსებული მიდგომისა და მექანიზმების (მაგ., SWOT-ანალიზი, PDCA-პრინციპი და სხვ.) სრული გამოყენებით, რომლებსაც თავად დაწესებულება ხარისხის უზრუნველყოფის და კონტროლის ეფექტიან მექანიზმად მიიჩნევს. ასევე, გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით განხორციელებული შეფასების შედეგების ერთიან დოკუმენტში ასახვა და დაინტერესებული მხარეებისთვის გაცნობა“.

- რეკომენდაცია #6 (პერიოდულად უნდა მოხდეს პროგრამის დადარება უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით) - არსებული რეკომენდაცია თავისი შინაარსით წარმოადგენს არა „სასარგებლო რჩევას“, არამედ წინამდებარე ქვესტანდარტის მოთხოვნას (იხ. აკრედიტაციის ქვესტანდარტი 5.3., „შეფასების კრიტერიუმები - პერიოდულად ხდება პროგრამის დადარება უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან. პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, გამოყენებულია საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა“). აღნიშნულიდან გამომდინარე, რეკომენდაცია რჩება უცვლელი.

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება არგუმენტირებულ პასუხში დაწესებულების მოსაზრებას, რომ „რეკომენდაციები ხელახალი აკრედიტაციის განაცხადის წარდგენამდე, ნაწილობრივ დაკმაყოფილებული ჰქონდა უნივერსიტეტს, რაც ასახულია თვითშეფასებაში (წლების მიხედვით პროგრამის პროგრესია, პროგრამის ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები)“ და მიიჩნევს, რომ დაწესებულებას აქვს მომავალში ამ ქვესტანდარტთან სრული შესაბამისობის მიღწევის პოტენციალი, თუმცა ზემოთ მითითებული გარემოებებიდან გამომდინარე ამ ეტაპზე ქვესტანდარტის შეფასება რჩება უცვლელი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

1. „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების წესი“ (აკადემიური საბჭოს №01-05-04/261, 23.09.2019 დადგენილების დანართი);
2. „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები“ (აკადემიური საბჭოს №01-05-04/108, 17.04.2018 დადგენილების დანართი);
3. „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა და სტრატეგია“ (აკადემიური საბჭოს №01-05-04/97, 02.04.2018 დადგენილების დანართი);
4. უნივერსიტეტის რექტორის ბრძანება (№42, 28.03.2016; MES520001170216, 08.12.2020) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების მიზნით საფაკულტეტო კომისიების შექმნის შესახებ;
5. სამთო-გეოლოგიურ ფაკულტეტზე „საინჟინრო გეოდეზიის“ სამაგისტრო პროგრამისთვის შემუშავებული დოკუმენტი „სწავლის შედეგების შეფასება და განვითარება“;
6. დამსაქმებლების, პროგრამის განმახორციელებლების, კურსდამთავრებულების და მაგისტრანტების გამოკითხვის ანკეტები და კვლევის (გამოკითხვის) ანგარიშები;
7. ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები

1. ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით პერიოდულად უნდა მოხდეს პროგრამის ყველა ასპექტის (მათ შორის, პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური რესურსის უსაფრთხოდ გამოყენების) კომპლექსური, მრავალმხრივი შეფასება, პროგრამის მდგრადობისა და ეფექტიანობის დადგენა, წლების მიხედვით პროგრესის შესწავლა-ანალიზი დაწესებულებაში

არსებული მიდგომისა და მექანიზმების (მაგ., SWOT-ანალიზი, PDCA-პრინციპი და სხვ.) სრული გამოყენებით, რომლებსაც თავად დაწესებულება ხარისხის უზრუნველყოფის და კონტროლის ეფექტიან მექანიზმად მიიჩნევს. ასევე, გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით განხორციელებული შეფასების შედეგების ერთიან დოკუმენტში ასახვა და დაინტერესებული მხარეებისთვის გაცნობა.

2. პერიოდულად უნდა მოხდეს პროგრამის დადარება უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან, ინფორმაციის ანალიზი, საჭიროების შემთხვევაში პროგრამაში ცვლილებების დაგეგმვა და განხორციელება თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში)

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები		☒		

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)
არ ერთვის

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საჯარო სამართლის იურიდიული პირი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება, საფეხური:

„საინჟინრო გეოდეზია“, მაგისტრატურა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 37

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	<input checked="" type="checkbox"/>			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	<input checked="" type="checkbox"/>			
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	<input checked="" type="checkbox"/>			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		<input checked="" type="checkbox"/>		
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები		<input checked="" type="checkbox"/>		

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

სახელი, გვარი, ხელმოწერა - თამარ გვიანიშვილი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

სახელი, გვარი, ხელმოწერა - გიორგი ბრეგვაძე

სახელი, გვარი, ხელმოწერა - არჩილ მაღალაშვილი

სახელი, გვარი, ხელმოწერა - მამუკა ბენაშვილი

სახელი, გვარი, ხელმოწერა - ნანა ფირცხელანი